140/2
1986

ISSN 0132—5978

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

4
1986

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყოფილა თუ არა ლენინი ბათუმში?

სერგეი ალექსეევი

მხატვარი ედ. ამბოკაძე

ყოფილა თუ არა ლენინი ბათუმში? თუ გეტყვიან:

— არაო!

მაინცდამაინც ნუ დაუჯერებთ.

1921 წლის შემოდგომაზე ქალაქ ბათუმში ჩატარდა აჭარის ახალგაზრდა რესპუბლიკის საბჭოების პირველი ყრილობა. დელეგატებმა ვლადიმერ ილიას ძე ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს.

ლევანმა მამისაგან გაიგო, ვლადიმერ ილიას ძე ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აურჩევიათო. საპატიო რას ნიშნავდა, არ იცოდა, და იფიქრა, ლენინი ბათუმში ჩამოსულაო.

მაშინვე მეგობრებთან გაიქცა, რომ ეს არაჩვეულებრივი ამბავი შეეტყობინებინა.

ხუტა და შალვა, რევაზი და სანდრო, ლადო, ჭიჭიკო და სათვალიანი ბიჭი — კუკური ერთად შეკრებილიყვნენ.

ყველა ლევანს მიაჩერდა.

— ლენინი ჩამოსულა ბათუმში, — ამცნო ლევანმა მეგობრებს საიდუმლოდ.

— ხომ არ ცდები? — ჰკითხა ხუტამ.

— არა, — მიუგო ლევანმა.

— დარწმუნებული ხარ? — ჰკითხა ახლა შალვამ.

— კი, — მიუგო მასაც.

— საოცარია, — თქვა კუკურიმ.

ყმაწვილები იმ სახლისაკენ გაეშურნენ, სადაც ყრილობა მუშაობდა, ამხანაგ ლენინისათვის რომ შეეხედათ. სხდომის გათავებას დაუცადეს.

აი, გამოვიდა ძია ვახტანგი, მას ძია გრიგოლი მოჰყვა, აგერ, სრულიად უცნობი ძიაც გამოჩნდა, მათ ძია კირილე, დეიდა ქსენია, ძია ალიო და ძია სავლე მოჰყვნენ. უკვე ყველა დელეგატი გამოვიდა. ამხანაგი ლენინი სადღაა?

ყმაწვილები ლევანს მიუბრუნდნენ:

— მოგვატყუე?

— არა, — მიუგო მტკიცედ ლევანმა.

— დაგესიზმრა?

— არა, — უპასუხა კვლავ ლევანმა.

— საოცარია, — თქვა კუკურიმ.

ბიჭები შინ დაბრუნდნენ. იქ უფროსებისაგან ყველაფერი გაიგეს. გაერკვნენ სიტყვა „საპატიოს" მნიშვნელობაში, იცინეს ლევანზეც და თავიანთ თავზეც.

გაიარა ერთმა წელმა. იმ სკოლაში, სადაც ყმაწვილები სწავლობდნენ, პიონერთა რაზმი ჩამოყალიბდა. ბიჭებმა პიონერული წითელი ყელსახვევები გაიკეთეს. მერე კი პირველსავე შეკრებაზე წამოდგა პიონერი ლევანი და წინადადება შეიტანა, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მათი რაზმის საპატიო თავმჯდომარედ აერჩიათ.

— სწორია! — დაიძახეს ყმაწვილებმა.

— ყოჩაღია ჩვენი ლევანი!

ლევანს ჰყავდა ძმა — მირიანი. მირიანმა რომ გაიგო, ლენინი პიონერთა რაზმის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიესო, „საპატიოს" მნიშვნელობა მაინცდამაინც ნათლად ვერ გაიგო და დაასკვნა, ლენინი ბათუმში ჩამოსულაო.

ბიჭი გაიქცა არაჩვეულებრივი ამბის შესატყობინებლად.

— ლენინი ჩამოვიდა ბათუმში, — ამცნო ჩურჩულით მირიანმა მეგობრებს.

შეიკრიბნენ ბიჭები და იმ სკოლისაკენ გაკურცხლეს, სადაც ლევანი სწავლობდა, რომ ამხანაგ ლენინისათვის შეეხედათ. მეცადინეობის დამთავრებას დაელოდნენ.

აი, გამოვიდა ხუტა, აი, გამოვიდა შალვა, აი, გამოვიდა ერთი უცხო ბიჭიც, მერე გამოჩნდნენ რევაზი, სანდრო და სათვალიანი კუკური. ამხანაგი ლენინი სადღაა?

— სად არის ამხანაგი ლენინი? — ჰკითხეს პიონერებს ყმაწვილებმა, — მართალია, რომ ლენინი ამჟამად ბათუმშია?

— ლენინი? — გაოცდნენ ლევანის მეგობრები. მაგრამ როცა საქმის ვითარება გაიგეს, უმცროს ბიჭუნებს არ დასცინეს. ჩაფიქრდნენ პიონერები და რა გგონიათ, როგორ უპასუხეს?

— მართალია, — თქვა ლადომ.

— სწორია, — დასძინა ჭიჭიკომ.

— ლენინი ახლა ყველგანაა, —უთხრა პატარებს პიონერმა სანდრომ. — ლენინი მოსკოვშიც არის და ტულაშიც, მინსკშიც, ჩიტაშიც და ერევანშიც. იგი ჩვენთანაც არის, ბათუმში.

— ლენინი ნებისმიერ სკოლაშია, ნებისმიერ აულშია, — თქვა პიონერმა რევაზმა. — იგი ნებისმიერ ქარხანასა და მინდორშია. ლენინი ჩვენს სკოლაშიც არის.

სათვალიანმა ბიჭმა კუკურიმ აღარ თქვა, „უცნაურიაო!"

ყოფილა ლენინი ბათუმში?

თუ გეტყვიან:

— არაო!

მაინცდამაინც ნუ დაუჯერებთ.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შენების, ზრდის, მშვიდობის პროგრამა

გურამ გოგიაშვილი
კარლო დოლიძე
მხატვარი თ. სამსონაძე

18217

დღეს მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრება და პრაქტიკული საქმიანობა გასხივოსნებულია მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის ცხოველმყოფელი იდეებით, იმ ისტორიული გადაწყვეტილებებით, რომელთა ხორცშესხმა ჩვენს დიად სამშობლოს უფრო ძლიერსა და ლამაზს გახდის, კიდევ უფრო აამაღლებს მის ავტორიტეტს მთელ მსოფლიოში. ეს კანონიერ სიამაყეს იწვევს ყოველი ჩვენგანის გულში — კომუნისტი იქნება იგი თუ უპარტიო, კომკავშირელი თუ პიონერი, მეფოლადე თუ მხვნელ-მთესველი, მეცნიერი თუ მოსწავლე.

თქვენ გაზეთებშიც წაიკითხეთ და მასწავლებლებმაც უკვე გიამბეს, ჩვენო ძვირფასო ბავშვებო, იმის თაობაზე, თუ როგორ ვემზადებოდით კომუნისტთა დიდი ფორუმისათვის, როგორ მიმდინარეობდა იგი, რა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული საკითხები განიხილეს და რა გადაწყვეტილებები შეიმუშავეს დელეგატებმა. ყოველივე ამის შესახებ ჩვენც გვინდა გესაუბროთ ჟურნალის ფურცლებიდან. ამჯერად მოგითხრობთ ყრილობის მიერ მიღებული პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის შესახებ, რომელიც თანამედროვეობის უდიდესი პარტიული, თეორიული დოკუმენტია და რომელსაც საბჭოთა ხალხმა უკვე შეარქვა შენების, ზრდის, მშვიდობის პროგრამა.

**ცოტა რამ ისტორიიდან.** კომუნისტების ლენინურმა პარტიამ, რომელიც მუშათა კლასის, მთელი მშრომელი ხალხის ხორცი ხორცთაგანია, მისი ტვინი, მისი გული, მისი სასიცოცხლო ინტერესების, მისი რევოლუციური ნების გამომხატველია, დიდი, ძნელი და სახელოვანი გზა განვლო არალეგალური მარქსისტული წრეებიდან მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელ ძალამდე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ნაცადი და ბრძოლებში გამოწრთობილი ავანგარდია, რევოლუციონერთა პარტიაა, რომელიც ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებას და სინდისს განასახიერებს.

— მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია — და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს! — მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე წინასწარმეტყველურად გაისმა ვ. ი. ლენინის სიტყვები.

მართლაც, დიდი ბელადის ხელმძღვანელობით რუსეთში შეიქმნა ისეთი პარტია, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, როგორც კომუნისტთა პირველ საპროგრამო დოკუმენტში — „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" გამოცხადებული საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის იდეების, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის რევოლუციური ტრადიციების, უკვდავ პარიზის კომუნართა სასიქადულო გმირობის ღირსეული მემკვიდრე.

ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მანიფესტის ფუძემდებლური პრინციპები. რსდმპ-ს მეორე ყრილობის მიერ 1903 წელს მიღებული პროგრამა მეფის თვითმპყრობელობის დამხობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის დროშა გახდა. დღე-



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. ბიბლიოთ.

**დშა ოქტომბერმა დაამხო კაპიტალის ძალაუფლება. დაიწყო ახალი სამყაროს შექმნა.**

1919 წლის მარტში რკპ (ბ) VIII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც შეიმუშავა კომისიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით. პროგრამის პროექტის ყველა ნაწილი ბელადის დაწერილი იყო. ახალ პროგრამაში განსაზღვრული იყო კომუნისტური პარტიის ამოცანები კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მთელი გარდამავალი პერიოდისათვის. იგი იდეურად აიარაღებდა პარტიასა და მუშათა კლასს სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ვ. ი. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიის პროგრამა აგებულია მეცნიერულ საფუძველზე, ემყარება სინამდვილეს და მოქმედების სახელმძღვანელოს წარმოადგენს. რკპ (ბ) პროგრამას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი ცხადყოფს, რომ რუსეთის სოციალისტური რევოლუცია განსაკუთრებული მოვლენა კი არაა, არამედ გამოწვეულია ისტორიული განვითარების საერთო კანონზომიერებით.

გმირმა საბჭოთა ხალხმა, რომელიც მიდიოდა გაუკვალავი გზებით, დაძლია არნახული სიძნელეები და ხორცი შეასხა პროგრამით დასახულ ამოცანებს, წარმატებით შესრულა სოციალისტური მშენებლობის გეგმა, რეალობად აქცია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი.

პარტიის მესამე პროგრამა მიღებულ იქნა 1961 წელს XXII ყრილობაზე. სკპ-ს ხელმძღვანელობით კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით საბჭოთა ხალხმა მჩქეფარე მუშაობა გააჩაღა. მოპოვებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი გამარჯვებები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში: შემდგომ განვითარდა ქვეყნის საწარმოო ძალები, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობანი, სოციალისტური დემოკრატია, კულტურა. წარმოიქმნა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. მოპოვებულმა წარმატებებმა შესაძლებლობა მისცა ჩვენს ქვეყანას ახალი ძალით გაეშალა მუშაობა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების, ქვეყნის სასურსათო პროგრამის ხორცშესხმისათვის, ინდუსტრიული პოტენციალის ზრდისათვის. საბჭოთა კავშირი შევიდა განვითარებული სოციალიზმის ეტაპში.

**ის, რაც დღეს გზას გვინათებს.** ამ ბოლო ორ ათწლეულში განუზომლად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. იგი სოციალური პროგრესისათვის, ომისა და აგრესიის იმპერიალისტური პოლიტიკის ალკვეთისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის ავანგარდშია.

კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის ამოცანები მოითხოვდა მიმდინარე და ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვალისწინებული მიზნების, მათი მიღწევის გზების, პარტიის ორგანიზატორული, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური მოღვაწეობის ახალი მეთოდების ღრმა ანალიზს და დაზუსტებას. საჭირო იყო არა მარტო გაკეთებულის, მიღწეულის შეჯამება, არამედ ადამიანის ბედნიერების, დედამიწაზე მშვიდობისათვის ბრძოლის ნათელი და დასაბუთებული პროგრამის შემუშავება.

და პარტიამ შეიმუშავა იგი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტის — პარტიული პროგრამის ახალი რედაქცია, რომელიც სკპ XXVII ყრილობამ მიიღო, მარქსისტულ-ლენინური იდეების უმდიდრესი არსენალი, საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის ისტორიული გამოცდილების მეცნიერული განზოგადების შედეგია. მისი განმასხვავებელი თავისებურებაა ფუძემდებელი თეორიული და პოლიტიკური დებულებების მემკვიდრეობითობა, რომლებსაც პარტია ეყრდნობა თავის მუშაობაში. იგი დაფუძნებულია მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე საძირკველზე, ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ვითარების რეალისტურ ანალიზზე.

როგორია ჩვენი პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის ძირითადი იდეა? ეს არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მეშვეობით საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევა.

პროგრამა შედგება შესავლისა და ოთხი ნაწილისაგან: კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლა თანამედროვე ეპოქის დედაარსია; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანები სოციალიზმის სრულყოფისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის საქმეში; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანები საერთაშორისო სარბიელზე, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში; პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი ძალაა.

პირველ ნაწილში შედის ორი თავი: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში; ბრძოლა პროგრესისა და რეაქციის ძალებს შორის თანამედროვე მსოფლიოში. მეორე ნაწილში — ხუთი თავი: სსრ კავშირის კომუნისტური პერსპექტივა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საჭიროება; პარტიის ეკონომიკური სტრატეგია; პარტიის სოციალური პოლიტიკა; საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარება; იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, მეცნიერება და კულტურა. მესამე ნაწილში კი ოთხი თავია: სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობა; განთავისუფლებულ ქვეყნებთან ურთიერთობის განმტკიცება; კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობა, ბრძოლა მტკიცე მშვიდობისა და განიარაღებისათვის; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მსოფ-

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

4 აპრილი 1986

ლიო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში.

თავები კი დაყოფილია შემდეგ ქვეთავებად: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება წარმოების ეფექტიანობის ზრდის მთავარი ბერკეტია; საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა; სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის, მართვის სისტემისა და მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფა, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ზრდა, შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება; კლასობრივ განსხვავებათა დაძლევა, სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბება; სოციალისტური ერებისა და ეროვნებების შემდგომი აყვავება და დაახლოება. პარტიის მიერ დაყენებული ამოცანები: იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში; სახალხო განათლების დარგში; მეცნიერების დარგში; კულტურული მშენებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგია განსაზღვრულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შემდგომი გაღრმავების ვარაუდით. იგი ითვალისწინებს ისტორიული მნიშვნელობის გარდაქმნებს — სახალხო მეურნეობის ახალ ტექნიკურ რეკონსტრუქციას, მის გადაყვანას ინტენსიფიკაციის რელსებზე, საბჭოთა ეკონომიკის აყვანას ორგანიზაციისა და ეფექტიანობის უმაღლეს დონეზე. უკვე 2000 წლის დამლევამდე მიღწეულ უნდა იქნას ქვეყნის საწარმოო პოტენციალის გაორკეცება, მისი თვისებრივად ძირეული განახლება.

აი, რა არის განსაზღვრული სოციალურ დარგში: საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის პირობების განუხრელი გაუმჯობესება; საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა ძირითად სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპის ყველაზე სრული განხორციელება; კლასებისა, სოციალური ჯგუფებისა და ფენების დაახლოება, გონებრივ და ფიზიკურ შრომას, ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავების დაძლევა; ეროვნული ურთიერთობის სრულყოფა; ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის განმტკიცება.

პოლიტიკურ დარგში დასახულია საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფა, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის სულ უფრო სრული განხორციელება მშრომელთა, მათი კოლექტივებისა და ორგანიზაციების სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაში ყოველდღიური, აქტიური და ქმედითი მონაწილეობის საფუძველზე.

სულიერ სფეროში მთავარი ამოცანაა ჰარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბება, რომელშიც შეხამებული უნდა იყოს სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფილება. პროგრამაში დაყენებულია კონკრეტული მოთხოვნები იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, სახალხო განათლების, მეცნიერების, კულტურული მშენებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

ყოველი თავისი სტრიქონით ლენინური პარტიის პროგრამა მიზნად ისახავს ომის თავიდან აცილებას, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებას. პროგრამაში წამოყენებულია ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევისათვის გათვალისწინებული კონკრეტული წინადადებანი.



საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია სხვა მოძმე პარტიებთან ერთად განამტკიცოს სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობა, გაზარდოს მისი ძლიერება და გავლენა.

ჩვენი პარტია საჭიროდ თვლის, რომ განთავისუფლებული ხალხების მზარდი გავლენა სულ უფრო მეტად შეესაბამებოდეს კოლონიალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის ბრძოლის საქმეს.

ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მასების ისტორიული შემოქმედების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის, მთელი ხალხის პარტია. ახალ ისტორიულ პირობებში მისი როლი კანონზომიერად იზრდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საბოლოო მიზანია კომუნიზმის აშენება. იგი გამოხატავს მშრომელი ადამიანების ყველაზე ნათელ იდეალებსა და მისწრაფებებს, რომლებზეც საუკუნეთა მანძილზე ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები.

ამ კონტურების ხორცშესხმის მოახლოება, უახლოესი პერიოდის თუ სამომავლო ამოცანების გადაჭრა, პარტიის XXVII ყრილობის მიერ განსაზღვრული მიჯნების დალაშქვრა საბჭოთა საზოგადოების უკლებლივ ყველა წევრის თავდადებას და სიბეჯითეს, დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად, ღირსეულად შესრულებას მოითხოვს. აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ყველამ — მუშამ თუ მეცნიერმა, მოსწავლემ თუ კოლმეურნემ, კომუნისტმა, კომკავშირელმა თუ პიონერმა. ადამიანისა და ქვეყნად მშვიდობის საკეთილდღეოდ ყველა მეტი მონდომებით უნდა გაისარჯოს.

# გარდატეხა

გიორგი კეჭაღმაძე

მხატვარი თემურ ფხიკიძე

მოთხრობა

— არ ყიდი და არც მინდა, — გაჯავრდა ბახუტიჩი. — რა ეშმაკად მინდა მაგ შენი აყროლებული თევზი...

ბეყერა შებრუნდა და თავისი პრიალა მანქანისკენ გასწია.

— ნუ აწყენინებ, — ურჩია ჩიკორამ ყარამანს, — რომ იცოდე ვინაა, იქით შეეხვეწები, წაიღეო, და კაპიკსაც არ გამოართმევ.

ჩიკორამ იქვე ორკაპი ჯოხი შეატეხა თხმელას და ბალახში მიმობნეული თევზების აკინძვას შეუდგა.

— ჰე, თქვი შენი ფასი... მერე ჩემსას გეტყვი.

— არ ვყიდი, — ჩაიბუზღუნა ყარამანმა და ოდნავ ქვევით ჩაინაცვლა. დაძაბული დასჩერებოდა ტივტივას, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ სანამ ეს აბეზარი კაცი არ გაეცლებოდა, თითისტოლა ღორჯოსაც ვერ დაიჭერდა.

ორიოდე წუთის შემდეგ ზევით ამოიხედა. ჩიკორა თევზების მოგრძო აკიდოს ლაღად მიაკონწიალებდა „ვოლგისაკენ". ბიჭი წამით ისე დაიბნა, ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა; მძარცველი მანქანაში რომ ჩაჯდა და კარი მიიხურა, მაშინღა გამოერკვა. ანკესის ჯოხი იქვე მიაგდო და ქვას დასტაცა ხელი. შავი „ვოლგა" ადგილს მოსწყდა. ყარამანი მისდევდა და თან ქვებს ესროდა. რას დაეწეოდა, ქვაც ვერ მიაწვდინა. ნომრის ამოკითხვაც ვერ მოასწრო...

თევზაობა აღარ გაუგრძელებია. წყლის პირას მშვიდად ჯდომა უკვე აღარ შეეძლო. ახლა საჭირო და აუცილებელიც კი იყო მისი ხელცარიელი დაბრუნება, მთელი ქალაქი უნდა გაოცებულიყო: როგორ? ეს რა ხდება? ნუთუ ყარამანი გაწბილებული ბრუნდება მდინარიდან?

წარბშეკრული ყარამანი ნელა მიაბიჯებს ქალაქში. რატომ არავინ არაფერს ეკითხება? როგორ შეუძლიათ აკეთონ თავიანთი ყოველდღიური, ჩვეულებრივი საქმე მაშინ, როცა ყარამანი შინ ხელცარიელი მოდის! როცა ყარამანი ასე დამცირებულია!

შინ მისულმა საანკესო მოწყობილობა შეინახა და რაჟიკოს სანახავად გასწია.

ბენსაულამ ყურადღებით მოუსმინა მეგობარს. არ მჯერა, ტყუილს ამბობო, იძახა. მერე განრისხდა, ბრაზისაგან თვალების ხამხამი და თავის ფხანა აუტყდა (ჰქონდა ასეთი ჩვევა), ახლავე მილიციაში გავიქცეთო, შესთავაზა ყარამანს. მილიციაში ხელად გაარკვევენ, თუ ვინაა შავვოლგიანი ბახუტიჩი და მისი ჩიკორა ძმაკაციო. ყარამანი ჯერ დაეთანხმა, მაგრამ შემდეგ უარზე დადგა. ვაითუ მასხარად აგვიგდონო. დიდი ამბავი, თუ ვიღაც ცინგლიანს მდინარის პირას რამდენიმე ცალი წვერა წაართვეს. მეტი საქმე არა აქვთ, ადგნენ ახლა და ამის გამო შავვოლგიან ბეყერას სდიონ... არა, ამ საქმეზე მილიციაში წასვლა ნამდვილად არ ღირდა. თვითონ უნდა იპოვნონ როგორმე.

იმ საღამოსვე მთელი მეშვიდე კლასი დააყენეს ფეხზე. იდუმალებით მოცული შავვოლგიანი ბახუტიჩის ძებნა საკმაოდ სახალისო, თავშესაქცევი საქმე გამოდგა. ბეყერას ზედვე ეტყობოდა, უმნიშვნელო პიროვნება არ უნდა ყოფილიყო. აშკარა იყო, სადღაც კაბინეტში იჯდა.

გაჩხრიკეს, გამოჩხრიკეს და რამდენიმე დღის შემდეგ დაწვრილებით იცოდნენ ბეყერა ბახუტიჩის ასავალდასავალი.

15. ბახუტიჩის შავი „ვოლგა" (ყარამანმა მაშინვე იცნო) სამშენებლო კანტორის ჭიშკართან იდგა. ყარანაძე სიძულვილით სავსე თვალებით მიაშტერდა გაპრიალებულ მანქანას. ეზოში ათასგვარი ხარახურა ეყარა: მორები, ფიცრები, არმატურის რკინები, ბლოკები, შიფერები და შიფერის ნამსხვრევები. ერთ-ერთ კუთხეში ჯართის მთელი ზვინი აზიდულიყო. არმატურის რკინის მოკლე ნაჭრით შეიარაღებულ ყარამანს შეუძლია ათიოდე წუთში ეს გაპრიალებული მანქანა ჯართად აქციოს. ახლოს მდინარე ჩამოდის, ნაპირზე ბარდი და მურყნარია მოდებული, დაჰკრავს ფეხს და ათიოდე წამში უჩინმაჩინად იქცევა. მერე ბიჭია და ეძებოს ბახუტიჩმა, იძიოს, ვინ დაულეწა მანქანა.

რაჟიკომ შეხედა მეგობარს, მიუხვდა ნაფიქრალს.

მაგაზე მერე ვითათბიროთო, უთხრა, ჯერ მშვიდობიანი მოლაპარაკება ვცადოთო.

ვცადოთო, დაეთანხმა ყარამანი და ბიჭები გულისფანცქალით მიადგნენ ბახუტიჩის კაბინეტის კარს.

ღია იყო. ბახუტიჩი სკამზე დახვავებულიყო, ყვიროდა, როხროხებდა, ვიღაცას ლანძღავდა, ვიღაცას დასცინოდა, უღიმოდა, ეფერებოდა, ექლესებოდა, ზოგს რისხვად ატყდებოდა თავს. ერთი სიტყვით, გაცხარებულ მუშაობაში იყო... განუწყვეტლივ შედიოდნენ მასთან დამკვეთები, მუშები, საამქროს უფროსები... რაღაც ქაღალდებს ხელს აწერდა, ბეჭედს უსვამდა, ხან საანგარიშოს აჩხაკუნებდა, ქვითრებს წერდა...

როგორც იქნა, შეწყდა ხალხის შესვლა-გამოსვლა. ბახუტიჩმა სიგარეტი გააბოლა, წამოდგა, ალბათ წასვლას აპირებდა. ბიჭები მაშინვე შეცვივდნენ კაბინეტში.

— რას გვიბრძანებთ? — იკითხა ბახუტიჩმა.

— თევზის თაობაზე გეახელით, — გაბედა რაჟიკომ ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ.

— რომელი თევზის? თევზს აქ რა უნდა?

— იმ თევზის, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაურთო ყარამანმა.

— აქ თევზი არაა, ბიჭიკოები, აქ სამშენებლო კანტორაა, შეგეშალათ.

— იმ თევზის, კვირას რომ წამართვით... მდინარის პირას, ქალაქგარეთ, — უთხრა ყარამანმა.

ბახუტიჩი ყარამანს მიაშტერდა.

დასასრული. იხ. „პიონერი" № 2, 8.

— მე? მე წაგართვი შენ, ბიძიკო, რამე?

— თქვენმა ამხანაგმა ხომ წამართვა, თქვენ გვერდით რომ იჯდა მანქანაში?!

— იცი შენ, ჩემს გვერდით რამდენი ვინმეა ნაჯდომი? მე ყველაზე პასუხს ვერ ვაგებ.

— თევზს თქვენ მევაჭრებოდით, — უთხრა ბახუტიჩს ყარამანმა, — მე უარი რომ გითხარით, იმან წამართვა... თქვენთვის წამართვა... ესე იგი, თქვენ მოგიტანათ.

— მე არაფერი არ ვიცი. რა ჩემი საქმეა, შენ ვინ რა წაგართვა.

— არ ივარგებს ასე, პატივცემულო, — უთხრა რაჟიკომ, — არაა ლამაზი, დიდებმა რომ პატარები დაჩაგრონ...

ბახუტიჩი ჩაფიქრდა, ალბათ მიხვდა, რომ მართლა არ იყო ლამაზი პატარების დაჩაგვრა. ბოლოს და ბოლოს რა გაუჭირდა ასეთი? ფული ჩეჩქივით უყრია ჯიბეში. ეს ბიჭები ხვალ ვაჟკაცები იქნებიან, ძაღლის ნაკბენივით დაუმახსოვრებენ ამ წყენას, ვინ იცის, სად შეხვდებიან, როდის შეახსენებენ...

— რა ვქნა ახლა მე, ბიჭებო? როგორ დაგიბრუნოთ თქვენი თევზი? უკვე შეჭმული იქნება, არ უნდა ლაპარაკი.

„შეჭმული იქნებაო? ვითომ თვითონ არ მიაძღა".

— თავმოყვარეობის საკითხია ბოლოს და ბოლოს, — თქვა რაჟიკომ.

— მე პირადად არაფერი დამიშავებია და ვერც ბოდიშს მოვიხდი სხვის მაგივრად.

— მაშინ იმ კაცის ვინაობა უნდა გვითხრათ, — შესთავაზა ყარამანმა.

— არ ვიცი მე, რომელ კაცზე მეკითხებით.

— იმოდენა ასხმულა მანქანაში რომ შემოიტანა, ვითომ ვერ დაინახეთ, პატივცემულო? — ჰკითხა რაჟიკომ.

— ვთქვათ დავინახე, ვიცი მე ნამდვილად, რომ წაგართვა? იქნებ იყიდა.

— არ უყიდია, ბატონო, — უთხრა ყარამანმა, — წამართვა. ტყუილს რატომ ვიკადრებ?

ბახუტიჩმა უჯრა გამოაღო, შიგ ხელი მოაფათურა და მაგიდაზე ათასჭირგადანახადი, დაქექილი სამმანეთიანი დაადო.

— აიღეთ და მოუსვით აქედან!

ბიჭები ადგილიდან არ დაძრულან.

— ხომ არ გეცოტავათ?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

ხელცარიელ წასვლას ისევ ამ სამიანის აღება სჯობია, ყვავს კაკალი რომ გააგდებინო, ისიც საქმეაო,—გაივ-



ლო გულში რაჟიკომ, მაგრამ მეგობარს რომ შეხედა თვალებში, მიხვდა, ფულის აღებას არაფრით არ მოუწონებდა.

ბახუტიჩმა ისევ გამოსწია უჯრა.

— ბოლოს და ბოლოს რამდენი იყო ის შენი თევზი?

— ორი კილო, სულ წვერა... მეტიც იქნებოდა, ახალდაჭერილი... ცოცხალი...

— ახ, წვერა? სხვა არ ერია, ხომ?

— დიახ, სულ წვერა.

ბახუტიჩმა უჯრაში ჩაყო ხელი და რამდენიმე დაჭმუჭნული, ჭუჭყიანი მანეთიანი მოფანტა მაგიდაზე.

რაჟიკოს ყარამანისთვის არც შეუხედავს, მაგიდისაკენ დაიძრა.

ბახუტიჩი ახარხარდა, თეთრი, კოტიტა თითებით სწრაფად ახვეტა ის ფული და ისევ უჯრაში ჩაყარა.

რაჟიკო გაშეშდა.

— არაა ლამაზი, პატივცემულო...

— მოგცემ მე შენ ლამაზს! — იყვირა ბეყერამ, წამოდგა და სტუმრებისკენ წამობაჯბაჯდა. — ლამაზი ის იქნება, ყურებს რომ აგახევთ და მოგცემთ ხელში... აბა, მოუსვით აქედან, თქვე მაიმუნებო! — ბიჭებს თავისი უშველებელი მუცლით მიაწვა და კაბინეტიდან გახვეტა.

კანტორის წინ მდგარ შავ „ვოლგას“ ახლა ორთავემ მიაბჯინა მძულვარე, შურისმაძიებელი თვალები.

— დამაცადოს, — კბილებში გამოსცრა რაჟიკომ, — ახლა ჩემთან ექნება საქმე.

რაც გიქნა, დაიმსახურეო, უთხრა ყარამანმა.

— დავიმსახურე? რით დავიმსახურე?

— რატომ აპირებდი იმ ფულის აღებას? რად გინდოდა მისი ქეციანი ფული?

— აბა მისი ქეციანი ბოდიშისთვის მოვედით აქ?

— ხომ მაინც ვაჭრობა გამოდიოდა? მაგ რომ მდომებოდა, არც მდინარის პირას ვეტყოდი უარს.

— თავმოყვარეობა? ჯავრის ამოყრა? — იფეთქა რაჟიკომ. — წავართვი და ხახვივით შემრჩაო, რომ ველარ იტყვის, ეს ცოტაა? შე მართლა ყვანჩალავ... აბა რისთვის დავეძებდით მაგ შენს ბეყერას ამდენ ხანს?

ჰო, კარგიო, უთხრა ყარამანმა, რა გაღრიალებსო.

ავტობუსს აღარ დაუცადეს, ფეხით გამოსწიეს ქალაქისკენ. ისე იყვნენ დაბოლმილები, დგომა და ლოდინი აღარ შეეძლოთ. არც გზა ჰქონდათ გრძელი. ხიდს გადაივლიდნენ და ქალაქში იყვნენ...

მდინარის პირას, მინდორზე ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ.

ჩავიდეთო, შესთავაზა ბენსაულამ ყარამანს, თამაშსაც ვუყუროთ, გონებაც მოვიკრიფოთ, რა ოინი მოვუწყოთ ბეყერასო.

16. აქეთა კარი ზედ წყლის პირას იყო და მეკარე, ჩამრგვალებული, ლოყებაპრიალებული ბიჭი წამდაუწუმ წყალში მიდგაფუნებდა ბურთის დასაჭერად. რამდენიც დაურტყეს, იმდენი გაუტანეს, თუმცა თავს არ იზოგავდა და კვახივით გორავდა მიწაზე. თანაგუნდელები მუშტებს უტრიალებდნენ ცხვირწინ და ემუქრებოდნენ: ბახუტია, შე უპატრონო, ერთი ბურთი მაინც აიღე, თორემ



დამთავრდება თამაში და ოთხში ამოგიღებთო. ეს ბედოვლათი მეკარე რაღაც ძალიან მეცნობაო, დაიჟინა ბენსაულამ. მომკალი, თუ ნანახი არ მყავდესო.

— რომელი სკოლიდან ხარ? — ჰკითხა ყარამანმა მეკარეს, როცა მან მორიგი ბურთი ამოიტანა მდინარიდან და ცენტრისკენ ისროლა.

— მეოთხედან, — მიუგო ბიჭმა.

— კლასი?

— მერვე...

— ბაბუაშენი ბახუტი ხომ ჯანმრთელადაა? — ჰკითხა ბენსაულამ.

მეკარემ ყურადღებით შეათვალიერა შემკითხველი.

— ბაბუაჩემი?

— ჰო, ბატონი ბახუტი.

— გმადლობთ, — მიუგო მეკარემ, — ჯანმრთელადაა. საიდან იცნობ შენ ბაბუაჩემს?

ბაბუამისს რომ ბახუტი ჰქვია, ეს ჯერჯერობით ბევრს არაფერს ნიშნავსო, გაიფიქრა ყარამანმა.

ამ დროს მოწინააღმდეგის თავდამსხმელი შემოიჭრა საჯარიმოზე. ბურთი კარს კი ასცდა, მაგრამ ბახუტი ბანაობას მაინც ვერ გადაურჩა.

— გინდა ნიძლავი? — უთხრა რაჟიკომ ყარამანს, — ჩამოვდივარ, რასაც მეტყვი, ეს ბეყერა იმ შენი ბახუტიჩის მემკვიდრე თუ არ იქნება.

— რაზე ატყობ? — მსგავსება ყარამანმაც შენიშნა,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ასეთი ღვთისწყალობა პირდაპირ დაუჯერებელი ჩანდა.

— ვატყობ რომელია, შეხედე ერთი, ზედგამოჭრილი ბეყერას ბეყერაა.

— ვცემოთ?

— მაგას თათბირი უნდა?

ბეყერას ბეყერა ფრინველზე მონადირე ძაღლივით ამოდგაფუნდა წყლიდან, ტანი შეიბერტყა, ბურთს ფეხი დაჰკრა და თითქმის მოწინააღმდეგის კარამდე ჩააგდო.

— იფ, — მოუწონა ყარამანმა, — შენ ნამდვილი ფორვარდი ყოფილხარ.

მეკარემ მოიხედა. ყარამანი არც კი იღიმებოდა. რაჟიკო დაიმანჭა, თითქოს კბილის ტკივილმა მოუარაო.

— ყველა წინ გარბის და ვიღაც ხომ უნდა ჩამდგარიყო კარში?

— მამაშენს ისევ შავი „ვოლგა" აქვს თუ გამოცვალა?

— რა დროს გამოცვლაა, ახლახან არ იყიდა?

— თევზი... ძალიან უყვარს? — ჰკითხა რაჟიკომ.

მეკარემ მხრები აიჩეჩა.

— ისე რა...

— შენ არ დაყვები ხოლმე, საანკესოდ რომ დადის?

— საანკესოდ? მამაჩემი? — ბახუტის სიცილი წასკდა.

— კვირას თევზები რომ მოიტანა, თვითონ არ დაუჭერია?

— თვითონ რას დაიჭერდა, ვიყიდეო, თქვა.

— გემრიელი იყო? ხომ მადიანად მიირთვით?

ეს შეკითხვა მეკარეს არ გაუგონია...

— ბახუტია, მოგკლავ ცემით, იცოდე...

— ამათ თუ მოკლეს ცემით, — შეწუხდა ყარამანი, — ჩვენ რაღა დაგვრჩება.

— მოდი, ტანსაცმელი მოვპაროთ და წყალში გადავუყაროთ, ირბინოს მერე შიშველმა.

— მაგ რა ვაჟკაცობაა?

— მამამისის შვილს ასე მოუხდება...

ამასობაში მატჩიც დამთავრდა. ბახუტი თავის ჩანთასა და ტანსაცმელს მივარდა, იღლიაში ამოიჩარა და მდინარეში გადაეშვა. გაღმა გასულმა ხიდქვეშ მოიკალათა და უშიშრად შეუდგა ჩაცმას, თანაგუნდელების ნასროლი ქვები იქამდე აღარ წვდებოდა. რაჟიკოცა და ყარამანიც მოწყდნენ ადგილს, ხიდი გადაირბინეს და გაქცეულს თავს დაუარეს.

— შენ რა, გგონია, ცემას გადარჩი? — ჰკითხა რაჟიკომ.

— გადავრჩი და ეგაა...

— იმათ კი გადაურჩი, მაგრამ ჩვენ სადღა წაგვიხვალ?

— თქვენ? — მეკარე ყურებს არ უჯერებდა, — თქვენ რაღა დაგიშავეთ?

მართლაცდა, ხომ უნდა სცოდნოდა მეოთხე სკოლის მერვეკლასელთა მამაც მეკარეს, რისთვის და რატომ გამოუტანეს ასეთი მკაცრი განაჩენი? იქვე ხიდის ქვეშ ჩამოსხდნენ სამივენი და ყარამანმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

არ მჯერაო, იძახდა ბახუტი, მამაჩემი ამას როგორ ჩაიდენდაო.

— თევზი ხომ მოიტანა შინ? ხომ ჩაცეცხლეთ? მეტი რაღა საბუთი გინდა?

არ მჯერა და რა ვქნაო, ჯიუტად იმეორებდა.

— ეგ უკვე შენი ნებაა, — უთხრა რაჟიკო-ბენსაულამ, გინდა დაიჯერე, გინდა არაო, ჩვენ ჩვენი საქმე ვიცით, შენ შენი იცოდე. ორ-სამ დღეს ხელს არ გახლებთ, შემდეგ კი, თუ ანგარიშს არ გაასწორებთ... ბოლოს და ბოლოს ისიც კარგად ვიცით, მამაშენი იქ, თავის კანტორაში ფასებს რომ ამახინჯებს და, სადაც საჭიროა, იქ ეუჩივლებთო.

— ეს ფასების დამახინჯება მაინც საიდან მოიგონე? — ჰკითხა ყარამანმა რაჟიკოს, როცა შინისაკენ ბრუნდებოდნენ.

— ასეთი უსინდისო ფასების დამახინჯებას მოერიდება?

17. ორი დღის შემდეგ ბახუტიჩის ბახუტი დათქმულ ადგილას გამოცხადდა და რაჟიკოსა და ყარამანს მამამისის გამოგზავნილი ორი ხუთმანეთიანი გადასცა.

— ბოდიში ხომ მოიხადა?

— როგორ არა, — თქვა ბახუტიმ.

სკვერში ისხდნენ, კინოთეატრის წინ. ბახუტი წასვლას არ ჩქარობდა.

— რა ვუყოთ ახლა ამ ფულს? — იკითხა ყარამანმა.

— შენია და, რაც გინდა, ის უყავი, — უთხრა რაჟიკომ.

— საიდანაა ჩემი, ჩემი სულაც არაა... მე ხომ თევზის გაყიდვა არ მინდოდა და არც გამიყიდია.

— ნუ დაიწყე ახლა შენებურად, მთავარი პრინციპია და არა ფული.

— მეც მანდა ვარ...

— ჰოდა, წაიღე, ხეირი ნახე...

— მოდი, შენ გქონდეს, — ყარამანმა ხუთმანეთიანები რაჟიკოს ჩაუტენა ჯიბეში.

— თუ ასეა, — უთხრა რაჟიკომ, — ხუთი — მე, ხუთი — შენ...

— არ მინდა, — თქვა ყარამანმა.

— არც მე მინდა მაშინ, — თქვა რაჟიკომ, — აჰა, მომაცილე... — ფული ახლა ყარამანის ჯიბეში აღმოჩნდა.

ყარამანმა ხუთმანეთიანები დაკეცა და ბახუტის გადასცა.

— წაიღე, დაუბრუნე შენს მამიკოს.

— მამიკოს?! — ბახუტიმ თვალები გადმოკარკლა.

— უთხარი, ვინც თევზს ყიდის, ის მდინარესაც ყიდის-თქო, მდინარე კი ყველასია, არ გაიყიდება... მეორეც — ჩვენ არ ვართ შენს მამიკოსავით ხარბები და მოძალადეები... ასე გადაეცი, სიტყვასიტყვით.

— რაკი ასეა... თუ ასე გინდათ...

ბახუტი მეტისმეტად დაბნეული იყო, არ იცოდა, სად წაეღო ის ხუთმანეთიანები.

— რომ არ გამომართვას?

ეროვნული ბიბლიოთეკა



— გამოგართმევს კი არა! — გაიცინა რაჟიკომ, — კარგად ვიცნობ, რაც კაცია...

ბახუტი დუმდა.

— შენ თვითონ არ ჩაიდო ჯიბეში, — გააფრთხილა ყარამანმა, — თორემ გავიგებთ და ვაი შენს დღეს...

— როგორღა გაიგებთ?

— რა ძნელი საქმე ეგ არის... ხვალ დილითვე ავკრეფ ნომერს და პირდაპირ შენს მამიკოს დაველაპარაკები, ვკითხავ, დაუბრუნე თუ არა ფული.

— ვერ დავუბრუნებ, — თქვა ბახუტიმ.

— ვითომ რატომ ვერ დაუბრუნებ?

— ეს ფული ჩემია... მამა მჩუქნის ხოლმე ხანდახან, მე კი ვინახავ...

— შენ, მგონი, არც არაფერი გაქვს მისთვის ნათქვამი.

— არაფერი არ მითქვამს, — გამოტყდა ბეყერას ბეყერა.

— არ უნდა გახეთქო ახლა ეს ცემით?! — იფეთქა რაჟიკომ და ადგილიდან წამოვარდა მუშტებშეკრული.

— გგონიათ, მართლა გალახვის მეშინია? სულაც არა. ფული იმიტომ მოვიტანე, თქვენთან ამხანაგობა მინდოდა...

ყარამანმა და რაჟიკომ ერთმანეთს გადახედეს.

ბახუტის გამობერილი, მსუქანი ლოყები ალისფრად ულვივოდა, თვალებში ცრემლი მოდგომოდა.

18. კარგ გუნებაზე იყო ყარამანი.

ეჩვენებოდა, რომ სადღაც მაღლა ადიოდა, მსუბუქად, თამაშ-თამაშით არბოდა. გიგუცა, რაჟიკო, ნათია, სხვები და სხვები ქვევიდან მოსჩერებოდნენ შიშითა და გაოცებით, ვერ დაეჯერებინათ, რომ ეს ყარამანი იყო.

კარგ გუნებაზე იყო, საუცხოოდ გრძნობდა თავს, თან რცხვენოდა. ცდილობდა, თავი ისე მოეჩვენებინა ყველასათვის, თითქოს თვითონაც ძალიან წუხდა. რატომ? იმიტომ, რომ რეჟისორი წუხდა. ასე შეწუხებული, აღელვებული და გაბრაზებული იგი ჯერ არავის ენახა. პრემიერის დღე უკვე დანიშნეს, გამოაკრეს აფიშები, გაზეთშიც გამოქვეყნდა განცხადება, ამა და ამ დღეს პრემიერაზე გვეწვიეთო. რეჟისორს ეგონა, საქმე ააწყო, ეგონა, სპექტაკლი მზად ჰქონდა და უცებ ყველაფერი აირია. თამრიკო გაქრა. დილით ჩაუშალა რეპეტიცია, სალამოსაც იგვიანებდა. ზოგმა თქვა, გაიბუტა, მოსვლას აღარ აპირებსო. ზოგმა — ავადააო, საავადმყოფოში წევსო. პირველი ვერსია უფრო ჰგავდა სიმართლეს, მეტისმეტად ბუტია იყო გრაფის ასული. სულ უბრალო საყვედურსა და შენიშვნასაც ვერ იტანდა. ადრეც გაქცეულა რამდენჯერმე. მაგრამ ახლა რაღა დროს გაქცევა იყო? ვინღა იპოვოს რეჟისორმა მისი შემცვლელი?

რეპეტიცია მოგვიანებით დაიწყეს, იქნება თამრიკომ მოგვისწროსო. პიესის ტექსტი ყარამანს მიაჩეჩეს ხელში: მაინც ტყუილად ზიხარ, ჰოდა, როცა საჭირო იყოს, თამრიკოს სათქმელი წაგვიკითხეო.

ყარამანი იჯდა და კითხულობდა. ამაზე ადვილი რა იყო? წაკითხვა არც კი სჭირდებოდა, თითქმის ზეპირად იცოდა ყველაფერი. ხან აუწევდა ხმას, ხან დაუწევდა, ზუსტად ისე, როგორც რეჟისორი ითხოვდა თამრიკოსაგან, ყველაფერი ზედმიწევნით, ზუსტად ახსოვდა...

პირველ სურათში დიდი შეფერხებები არ ყოფილა. რეჟისორმა შეაქო ყარამანი. მაგრამ ეს უშველიდა საქმეს? თამრიკო მაინც არ ჩანდა და თუ ამაღამაც არ გამოჩნდება, პრემიერა უნდა გადადოს...

— მაინც რომ არ ვარგა ის გოგო ამ როლში? — იკითხა უცებ ყარამანმა.

— ვინ გითხრა? — დაინტერესდა ნიკო.

— მისი მოძრაობა და მეტყველება არაა შერწყმული...

რეჟისორმა ყურადღებით შეათვალიერა ყარამანი და მწარედ გაიღიმა.

— აკლია გარდასახვა, — განაგრძობდა ყარამანი. — სტანისლავსკი ხომ მთლიან გარდასახვას მოითხოვს...

რეჟისორმა პირი მიიბრუნა და უხერხულად ჩაახველა.

— აბა, ჩემო ყარამან, გამოდი ერთი და მაჩვენე შენი მთლიანი გარდასახვა... მაშინ შეგატყობ, რა ბიჭიც ჰყავხარ ნიკოს, თორემ ტყუილი ლაპარაკით საქმე როდის გაკეთებულა? ტექსტს მე გიკარნახებ...

— კარნახი რაში მჭირდება?

— ესე იგი, — დაიბნა რეჟისორი, — გამოდის, რომ ეს როლი შენ უკვე...

— კარნახი სულაც არ მჭირდება, — ბეჯითად გაიმეორა ყარამანმა.

— აბა, ადგილებზე! — იყვირა რეჟისორმა, — ვიწყებთ...

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ...ავტეხეთ სროლა... აირია მთელი ბანაკი და სანამ მტერი გონს მოვიდა, გავწყვიტეთ ბევრი... „ალლაჰ-ბილ-ალლაჰ! — გაჰკიოდნენ ზარდაცემულნი. ბოლოს და ბოლოს გამოერკვნენ, მოგვესივნენ და საფარს ჩვენსას თავს დაატყდა ტყვიების დელგმა. ჩავილიენით. დიდი იყო ძალთა სხვაობა, რას გავუძლებდით, მოდიოდა ერთზე ათასი... ფიცხელ ბრძოლაში, იმ საშინელ ორომტრიალში, როცა ჯაგებში მივძვრებოდით, როს ნელ-ნელა უკან ვიხევდით, უეცრად ფეხქვეშ მიწა ჩაგვენგრა და საიდუმლო ჭაში აღმოვჩნდით მე და ჩემი ძმა კახაბერი... ვინ მოგვაგნებდა, იქ ვინ გვნახავდა... მიწყნარდა ბრძოლა, თოფის სროლა, ხმლის ჩახაჩუხი. დიდხანს ვისხედით განაბულნი იმ ორმოს ფსკერზე. მერე ძმამ მითხრა, გახვიდეო უნდა როგორმე. იარე ფრთხილად, ყოველი ქვა, ბუჩქი ყოველი, იცოდე, შენი საფარია, შენი მფარველი. უნდა როგორმე დააღწიო თავი მტრის ბანაკს და ყოველივე, რაც აქ მოხდა, ჩვენებს უამბო. უნდა დღესვე გაიგოს მეფემ, შავნაბადადან რომ აპირებს მტერი თავდასხმას. შენ? შენ რას ფიქრობ? — ვკითხე მყისვე შეშფოთებულმა. მე? — მიპასუხა, — თანამოძმეთა სისხლს ავიღებ მე ვერაგ მტერზე, ან მათვე გვერდით ვპოვებ სამარეს. და თუ გაიგოთ თქვენ ამბავი სასიხარულო, რომ შაჰს სისხლიანს, თვით ალა-მაჰმადს ვიღაც უცნობი ცხელი ტყვიით გაუმასპინძლდა თავის კარავთან, ან ლოგინში ტკბილად მძინარეს, ის მე ვიქნები, თავად შენი ძმა — კახაბერი...

რეპეტიცია რომ დამთავრდა, ზღაპრების მოყვარულმა რეჟისორმა ყარამანი გულში ჩაიკრა და მთელი დასის გასაგონად თქვა:

— გადარჩა ჩვენი პრემიერა, მეგობრებო!..





## კომკავშირულ-პედაგოგიური რაზმი მოქმედებს

ქეთევან აზარიაშვილს ახლაც ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს არც არასდროს განშორებია მშობლიურ, 65-ე სკოლას. დამთავრებით კი დაამთავრა იგი, მაგრამ მოკლე დროშივე დაუბრუნდა, უკვე როგორც წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისის“ კომკავშირულ-პედაგოგიური რაზმის წარმომადგენელი, როგორც სკოლის პიონერ-მოსწავლეების გულითადი მეგობარი და შემწე.

ქეთინო მეათე კლასის მოსწავლე იყო, როცა მათ სკოლაში ხმა დაირხა, ჩვენს შეფებს, ფაბრიკა „კრწანისის“ ახალგაზრდებს, კომკავშირულ-პედაგოგიური რაზმი „ჩირაღდანი“ შეუქმნიათ და სკოლაში აქტიური მუშაობის გაშლას აპირებენო. სკოლა ისე დაამთავრა ქეთინომ, ამ ლაპარაკს კონკრეტული ნაბიჯები არ მოჰყოლია. მერე კი თვითონვე აღმო-



მოსწავლეთა საწარმოო კომბინატის მორიგ[illegible] დინეოგაზე ქეთინო აზარიაშვილი დამხარისხებლის პროფესიაზე ესაუბრება უმცროს მეგობრებს.

ჩნდა „კრწანისში“, ხოლო მოგვიანებით — „ჩირაღდანშიც“. რამდენიმე წლის შემდეგ იგი ფაბრიკის დამხარისხებელთა ბრიგადის ბრიგადირი და „ჩირაღდნის“ ხელმძღვანელი გახდა.

ბრიგადის ხელმძღვანელობა ქეთინო აზარიაშვილს მისი შრომითი წარმატებების, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის, ორგანიზებულობისა და საზოგადოებრივი აქტიურობის წყალობით მიანდვეს. რაკილა იგივე ნიშან-თვისებები მოეთხოვებოდა პედაგოგიური რაზმის ხელმძღვანელსაც, ქეთინო აზარიაშვილი მასაც ჩაუყენეს სათავეში. საქმემ იმატა, გაიზარდა პასუხისმგებლობაც. საჭირო გახდა შრომისა და ცხოვრების უკვე დადგენილი რიტმის შეცვლა. ძალები, დრო და ენერგია ახლა ასე უნდა გადანაწილებულიყო: ფაბრიკა-სკოლა-ინსტიტუტი (ქეთინო ერთდროულად უმაღლესში ჩასაბარებლადაც ემზადებოდა). მტკიცე ხასიათი დაეხმარა ქალიშვილს, ყველა საქმეს გასწვდომოდა, თანაც ისე, რომ გულის უშორეს კუნჭულშიც კი არ ეგრძნო სინდისის ქენჯნა.

დღეს ქეთევან აზარიაშვილის ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის დამხარისხებელთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო გამომშვებ უბანზე, არამედ მთელ საწარმოო გაერთიანებაში — შარშან ქეთინომ და მისმა მეგობრებმა წლიური გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს, თავად ბრიგადირი კი საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

არაერთი საგულისხმო საქმე გააკეთა ამ ხნის განმავლობაში „ჩირაღდანმა“, რომლის თორმეტივე წევრს და, პირველ რიგში, ხელმძღვანელს, სწამს, რომ მათი პედაგოგიური რაზმის დანიშნულებაა ქმედითი, საქმიანი წვლილი შეიტანოს არა მარტო მოსწავლეთა შრომით აღზრდაში, არამედ მათი მოქალაქეობრივი მრწამსისა და ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებაში, ხელი შეუწყოს მათში საუკეთესო თვისებების ფორმირებას, საზოგადოების, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობის გამომუშავებას, დაეხმაროს სწორი გზის არჩევაში, ასწავლოს შრომის ფასი და პატივისცემა. ქეთინომ და მისმა მეგობრებმა ისიც კარგად იციან, რომ ამის უფლება რომ ჰქონდეთ, პირველ რიგში თავად უნდა იყვნენ საუკეთესონი, და აკი არიან კიდევაც. აი, ახლაც აზარიაშვილის ბრიგადა



ქეთინო ხელმძღვანელი რაზმეულის სამუშაოს დაგეგმვასა და მისი საქმიანობის მთავარი მიმართულებების განსაზღვრაშიც აქტიურად მონაწილეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთი პირველი შეუდგა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და მითითებული ნაკლოვანებების გამოსწორებაზე ზრუნვას.

ჩირაღდნელების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია, უფრო სწორად, თავიანთი საწარმოს მუშათა რიგების ახალი შევსების მომზადება გახლავთ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საშეფო სკოლის მოსწავლეთა ხშირი ექსკურსიები საწარმოში, უფროსკლასელთა საწარმოო პრაქტიკა, ახლახანს „კრწანისში“ შექმნილი მოსწავლეთა სასწავლო კომბინატი, ფაბრიკაში გატარებული შრომითი სემესტრები. და ალბათ ჩირაღდნელების წვლილიც არის იმაში, რომ 65-ე სკოლის ბევრი ყოფილი მოსწავლე, მათ შორის ლია გიორგაძე, მარინე დანელია, მადონა ბახია, მამუკა ჩარგეიშვილი და სხვები, დღეს მათ მხარდამხარ შრომობს საწარმოში. „კრწანისში“ მოსულ გოგო-ბიჭებს თითქმის ყოველთვის ქეთინო უწევს მასპინძლობასაც, მეგზურობასაც, დამრიგებლობასაც და ისინიც, აქ რომ მოვლენ, პირველ რიგში სწორედ მას კითხულობენ, ამასთან ყველა სხვადასხვანაირად: ზოგი — ქეთინო ხელმძღვანელი სად არისო, სხვები — ქეთინო მასწავლებელი კი არ მოვაო? უფრო მოზრდილები კი — რაღაც, ჩვენი ქეთინო არა ჩანსო... დიახ, ხელმძღვანელიც არის ქეთინო აზარიაშვილი პიონერ-მოსწავლეებისთვის, მასწავლებელიც და მეგობარიც. სწორედ ამიტომ დააჯილდოვა იგი ორი წლის წინ საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა არკადი გაიდარის საპატიო ნიშნით; სწორედ ამიტომ იწვევენ მას სკოლის პიონერები ყველა ღონისძიებაზე — სარვამარტო დილა იქნება ეს თუ საკავშირო პიონერული ხაზი, საახალწლო ზეიმი, თუ ვეტერანებთან შეხვედრა, ოქტომბრელების პიონერთა რიგებში საზეიმო მიღება თუ პოეზიის საღამო, ნორჩი ანტიფაშისტის დღე თუ რაზმეულის მორიგი შეკრება. იმიტომ ეგულება ხოლმე სკოლის პიონერხელმძღვანელს ნანა ცომაიასაც იგი პირველ შემწედ შეჭირვების ჟამს. თავის მხრივ არც ქეთინო და დანარჩენი ჩირაღდნელები ივიწყებენ თავიანთ უმცროს მეგობრებს. ჰყავდათ სოფელ გამარჯვებაში, გააცნეს იქაური ტოლები; მათთან ერთად დალაშქრეს უძოს მთა, დაათვალიერეს კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე. მხოლოდ ერთი შარშანდელი დანაპირები ვერ შეუსრულეს ნორჩებს და ეს აღარდებთ. საქმე იმაშია, რომ გოგო-ბიჭები შაბათობაზე მიეხმარნენ შეფებს, ეზო-გარემო დაუსუფთავეს, მერე იქვე, პირდაპირ საწარმოში, სახელდახელო კონცერტიც გაუმართეს. სწორედ მაშინ იყო, რომ შეჰპირდნენ, ერთი კარგი ექსკურსია ჩვენზე იყოსო, მაგრამ ისე აეწყო საქმე, რომ მიცემული სიტყვა ჯერჯერობით ვერ შეუსრულეს, თუმცა ბავშვებს სჯერათ, რომ როგორც ყოველთვის, ახლაც ქეთინო და მისი ამხანაგები თავს არ შეირცხვენენ და გულს არ გაუტეხენ მოსწავლეებს.

ამგვარ ურთიერთობაში და არა მშრალი, მოსაბეზრებელი საუბრებითა და ჭკუის დარიგებით აღწევენ პედაგოგიური რაზმის წევრები ყველა ჩანაფიქრის განხორციელებას, დასახულ-დაგეგმილის უთუო შესრულებას. საქმე წინ ბევრი ელის შეფებსაც და მათ სამეურვეო პიონერ-მოსწავლეებსაც. უკვე გაწეული მუშაობის კეთილი ნაყოფი კი იმის საწინდარია, რომ მომავალშიც ქეთინო აზარიაშვილის „პედაგოგიური ბრიგადაც“ ისევე წარმატებით გაართმევს თავს საპასუხისმგებლო მოვალეობას, როგორც მისი შრომითი ბრიგადა.

მანანა გელაშვილი

თ. ცაბარელის ფოტო

## იოსებ აფციაური

ქალაქს ცას მოვხდი მზიანსა,
ნამუსის ქუდად მეყოფა,
ჭალას გავაძრობ ახალუხს,
შორს სატარებლად მეყოფა.
სოფელს ვთხოვ რკინის ქალამანს,
ხმელზე და ზღვაზე მეყოფა.
ირმის გულმკერდით გამოვალ,
თავმოსაწონად მეყოფა.
ცვრიან ბალახთან ნადიმი
ლამაზ ლექსისთვის მეყოფა.
ამოფურჩქნილი ანბანში
ვარდი ზეიმად მეყოფა.
ხევსურის სიტყვა ფხიანი
ცხელ გულის კვესად მეყოფა.
წინაპართ სადიდებელი
უკვდავების რძედ მეყოფა.

მერცხალმა ჩამომჭიკჭიკა:
შენამცა ჩემი გულითა,
ფერები გადაგდიოდეს,
აცლილი გაზაფხულიდან.
შაშვმა გალობა მინატრა
ბულბულისა და თავისი,
გაცინებული ცისკრისა
მხარზე ვარსკვლავი დავისვი.
ფრთებს დამაკერებს მიმინო,
გადავიქროლო მთანია,
სული ზედ ჩამოვაბერტყო
სამშობლოს, ეგრე მწვანიანს.
ქვეყნის წავილო სიმღერა
ლერწმის ნამიან ყელითა,
გამყვეს კურთხევა ბალახის
მინდვრებიდან და ველიდან.
ზეცამ კალთაში ჩამისვას
ულრუბლომ, ღიმილიანმა,
ყვავილი დამაკრეფინოს
თებერვალსა და იანვარს.
დედა მიცოცხლოს მღიმარი,
ჩემზე მლოცველი თვალებით,
სიკვდილით აუკრეფელნი
მესხდნენ მზენი და მთვარენი.





# ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“

„მგზავრის წერილებში“ გადმოცემულია პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული მწერლის მგზავრობის მხოლოდ ერთი მონაკვეთი: ვლადიკავკასიდამ — ტფილისამდე (როგორც დასათაურებიდან ჩანს). თხრობის არეში ხვდება მხოლოდ განსაზღვრული მანძილი. თუმცა გზადაგზა იკვეთება მთლიანი მარშრუტიც: ვლადიკავკასი-ლარსი-სტეფანწმინდა-ფასანაური. თბილისამდე მწერალს მოხევე ლელთ ღუნიასთან საუბრის შთაბეჭდილებები მოაცილებს.

როგორც პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, „მგზავრის წერილებში“ ჩვენ გვაქვს ავტობიოგრაფიული ელემენტები“. მართლაც, ილია პირდაპირ აცხადებს: „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა“. გვაგებინებს იმასაც, რომ თერგდალეულთა ჯგუფს ეკუთვნის, რომ მის სამშობლოში ამ თაობას უნდობლობას უცხადებენ: „თერგდალეულები ჩვენს ქათველს კაცს როგორლაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგდალეულები მართლაცდა თერგდალეულები არიან, მეორე იმიტომ... რომ მეორედაც თერგდალეულები არიან. მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგდალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას“.

თერგდალეულებმა დიდი ხმაური და სიცოცხლე შემოიტანეს პოლიტიკურად მიძინებული საქართველოს მთვლემარე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უპირველეს მიზნად დაისახეს ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხის გათავისუფლება ბატონყმური უღლისაგან, მისი გაყვანა ცხოვრების ნათელ გზაზე. ილიამ მხატვრულ სიტყვასაც დიდი, საპასუხისმგებლო ფუნქცია დააკისრა. ყველა ეს საკითხი გაბედულად წამოაყენა თავის ერთ-ერთ პირველ პროზაულ ნაწარმოებში „მგზავრის წერილები“, რომელიც მოგვიანებით, კერძოდ, 1871 წელს გამოქვეყნდა.

ნაწარმოების დაბეჭდვას დიდი დაბრკოლებები შეხვდა. 1871 წლის გამოცემაში მთლიანად ამოღებული იყო პირველი თავი. 1892 წლის გამოცემაში ზოგიერთი ადგილი ავტორმა თვითონ აღადგინა, მაგრამ სრული ტექსტის დაბეჭდვა მაინც არ მოხერხდა. ამ ნაწარმოების სრული რედაქცია აღმოჩნდა კირილე ლორთქიფანიძის* არქივში და მხოლოდ ჩვენს ეპოქაში ეღირსა მას დღის სინათლე.

როგორც სათაური მიგვანიშნებს, ნაწარმოები მგზავრის შთაბეჭდილებების გადმოცემაა. ახლის ძიებით დაინტერესებული მწერალი ფაქტიური რეალობის ფონზე ღრმა ეროვნულ-პატრიოტულ მოტივს ავითარებს, ეხება ხელოვნების დანიშნულებისა და მოვალეობის საკითხს, ქადაგებს აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის აუცილებლობას.

გზად მწერლის ყურადღებას იპყრობს მხოლოდ განსაკუთრებული ღირებულების საგნები და პიროვნებები. იგი დასცინის და ამათრახებს მეფის რუსეთის გაუნათლებლობასა და ჩამორჩენილობას. გვიხატავს პირდაუბანელი, ბრიყვი და ზლაზნია „იამშჩიკის“ სახეს, რომელსაც ადგილიდან ვერ დაუძრავს მოძველებული „პოვოსკა“. და ამ გაწამაწიაში სარკასტულად ისმის ფრანგი კაცის ხარხარი: „მაგით დადის? იმიტომაც შორს არ[illegible]წასული!.. მაგით დადის!.. ხა, ხა, ხა!... ვილა დაეწევა!“

ილია დასცინის აგრეთვე რუს ოფიცერს, რომელსაც საქართველო ველურ, გაუნათლებელ ქვეყანად მიაჩნია. ეს სამხედრო მოხელე, რომელიც ქართველთა „გასანათლებლად“ არის მოსული, სინამდვილეში თვითონ არის ჭკუანაკლული და ბრიყვი. სარკასტულად დახატული ოფიცერი გულუბრყვილობისა და ყოყოჩობის სანიმუშო მაგალითია. შაქრის ქურდობის მოსპობას ქილაში ბუზების ჩასმით აპირებს, განათლებას გენერლების რაოდენობით ზომავს, პეტერბურგს — იზლერის ბაღით, ყოველივე კარგს — რუსული წარმოშობით.

მწერალი არ იშურებს ფერებს,

---

* ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თერგდალეულთა ჯგუფის აქტიური წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რათა ნათლად წარმოაჩინოს ცარისტული რუსეთის სახე, უფრო საცნაური გახადოს ამ ქვეყნის მიერ დამორჩილებული საქართველოს სავალალო მდგომარეობა. და აი, ასეთ სამშობლოში მომავალი მწერლის წინაშე ისმება ხელოვანის დანიშნულების საკითხი. რა ევალება მას, რით უნდა დაეხმაროს სათაყვანებელ სამშობლოს? „როგორ შევყურები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყურება იგი მე?.. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?.. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ... მიამბოს თავისი გულისტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმილოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური", — აი, აქ ილია მხატვრულ სიტყვას გადამწყვეტ როლს ანიჭებს, შესაძლებლად მიიჩნევს საზოგადოებრივი პრობლემების ლიტერატურული გზით მოგვარების საკითხს. იცის, რომ ის დრო აღარ არის, მოთქმა-გოდებით შემოიფარგლოს კაცი ან რომანტიკოსებივით გაურკვეველი მომავლისაკენ სწრაფვით დაკმაყოფილდეს. მას ბრძოლა სწყურია, მისი ენერგია მოქმედებისა და მოძრაობისაკენ ისწრაფვის. მისი აზრით, საჭიროა სიტყვაც და საქმეც, ოცნებაც და მოქმედებაც, ღვიძილიც და ხალხის გამოფხიზლებაც. მაშინ მწერლის სიტყვას დიდი პოლიტიკური ფუნქცია დაეკისრება. იგი შეძლებს ხალხს „გულის ტკივილი მოურჩინოს, დავრდომილი აღადგინოს, უნუგეშოს ნუგეში მოჰფინოს, მტირალს ცრემლი მოსწმინდოს, მუშაკს შრომა გაუადვილოს... და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა ჟოლლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შეაგროვოს თავისი ქვეყნის გაციებული გულის გასათბობად". ამ სიტყვებით ილია ჭავჭავაძე თანამედროვეებს ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლის აუცილებლობაზე მიუთითებს.

მწერალს არც ცრუპატრიოტები მოსწონს, მხოლოდ ლამაზ ფრაზებს რომ ამოჰფარებიან. იხსენებს გრიბოედოვის სიტყვებს: „სამშობლოს კვამლიც კი ტკბილია და სასიამოვნო", და იქვე იუმორით დასძენს: „ო, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს-ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ უბედურებასაც ვერა ვხედავთ". ილიამ იცის, რომ თანამედროვე ქართველთა საზოგადოება ისე დაშლილა და დარღვეულა, რომ მათში ერთიანი ეროვნული ინტერესები გამქრალა, ყველა საკუთარ თავში ჩაკეტილა, საერთო საზრუნავი და სატკივარი დავიწყებია. ამიტომაც ასე მძაფრად და მკვეთრად მოითხოვს იგი მოძრაობას, მოქმედებას. ამ მიზნით ადარებს იგი ერთმანეთს თერგსა და მყინვარს, დღესა და ღამეს. ამ ფურცლებზე გვხვდება თერგისა და მყინვარის ობიექტური დახასიათება, და შემდეგ — მათი ალეგორიული გააზრება. თერგის შესახებ ნათქვამია: „ეგ დასალუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მომკვდარა, რაკი ზურგი ჩვენსკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორლაც ის დევგმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკაზთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს: „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიანო"; აქ ისე დამდოვრებულა, ისე დადუმებულა, თითქო ან როზგქვეშ არის გატარებული, ან დიდი ჩინი მიუღიაო". იგივე შეიძლება ითქვას მყინვარის შესახებაც. მოგზაურის თვალწინ აღიმართება დიდებული მყინვარის ობიექტური სახე: „ცისა ლაჟვარზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭის ოდენა ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილს თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დანათიდა, თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუცვიფრებიაო".

ამ ფონზე მწერალმა წამოჭრა ეროვნული თავისუფლების იდეა, ამ უსულო საგნებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემები დააკისრა. ეროვნული საკითხები მანამდე გაბრიელ რატიშვილმა და გრიგოლ ორბელიანმაც გადმოსცეს თავიანთ სამოგზაურო თხზულებებში, მაგრამ ეროვნული ჭრილობა ისე მძაფრად ვერავინ გვაგრძნობინა და განგვაცდევინა, როგორც ილიამ. მას არ მოსწონს მყინვარი მხოლოდ იმის გამო, რომ ცივია და მიუკარებელი. ქვეყნის წუხილი მასთან ვერ აღწევს, შუბლზე ერთ ძარღვსაც ვერ უტოკებს. სულ სხვაა გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი თერგი: „თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა... იმის მღვრიე წყალში ჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა".

მწერალი ვერ იტანს ბნელ ღამეს თავისი გაბოროტებული, გაავაზაკებული ადამიანებით, თავისი მტარვალებით, მჭედლებით, რომლებიც ადამიანის ბორკილებს სჭედავენ, თავისი ჟამიანებითა და კუდიანებით, სიბნელითა და უმეცრებით. კარგია ნათელი დღე თავისი ტანჯვითა და წვალებით, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა. ყოველივე ამის მშვენებად ილიას ადამიანი მიაჩნია: „ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!" — შესძახებს იგი. მაგრამ ადამიანიცაა და ადამიანიც. მწერალს გაღვიძებული ადამიანი უყვარს, რომელსაც ქვეყნის საზრუნავი დასწოლია მხრებზე. იგი აღტაცებით ამბობს: „კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტკინებულსა".

მწერალი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ბრძოლა და მოძრაობა არის შვენებული სიცოცხლის მიზანი, უმოძრაობა სიკვდილია. „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი". ამ სიტყვებით დიდი ილია აქტიური ცხოვრების აპოლოგეტად გვევლინება.

ნაწარმოებში ყურადღებას იპყრობს ლელთ ღუნია (ვარაუდობენ, რომ იგი რეალურად არსებული პი-

როვნება იყო), რომელიც მწერალს სტეფანწმინდიდან ფასანაურამდე დაემგზავრა. ორი დიდი მამულიშვილი, უბრალო მოხევე და ნასტუდენტარი ილია, მსჯელობენ საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, მის ბედსა და უბედობაზე. ლელთ ღუნიას აზრით, ერი გადაგვარდა, ყველგან უნდობლობა, ძალადობა და მოტყუება გამეფდა. ლელთ ღუნია გულმხურვალე პატრიოტია, რომელსაც უბრალო ტყაპუჭის ქვეშ სამშობლოს ბედით აფორიაქებული კეთილშობილი გული უძგერს: „ადრიდა ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთურთს დავეყუდნით, ერთურთს ვიხვეწებდნით, ქვრივ-ობოლთ ვიფარებდით“, — ეუბნება იგი მწერალს, რომელსაც მისი სიტყვები სულს უფორიაქებს და აუტანელ ტკივილს აგრძნობინებს. მწერალი მასში კითხულობს თავის აზრებსა და განწყობილებებს და მალულად, ტკივილითა და სევდით ეთანხმება: „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითაც ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის?“... ამ კითხვას ილიას მთელი შემდგომი შემოქმედება აძლევს პასუხს.

როგორც ვხედავთ, ილიას „მგზავრის წერილები“ საპროგრამო ნაწარმოებია, ახალი გაბედული სიტყვაა სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე. იგი ყურადღებას იპყრობს არა მარტო იდეური თვალსაზრისით, არამედ ჟანრული სპეციფიკის მხრივაც. ილიამ მანამდე არსებული სამოგზაურო ჟანრი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, მხატვრული საშუალებებით გაამდიდრა და მას დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქცია დააკისრა.

ნათელა სალირაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



მხატვარი თემურ ფხიკიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორნი ერთი ოჯახიდან

ეკა ელიავა

ერთხელ გივი გაჩეჩილაძეს ჰკითხეს: — ადამიანის თვისებებიდან რომელს უფრო აფასებთ?

მან დაუფიქრებლად უპასუხა: — საიმედოობას, საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.

სიყმაწვილეში რაღაცნაირად მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებ ამ თვისებას, უფრო სხვა კატეგორიები გიტაცებს, მხოლოდ მოწიფულობის ჟამს მოდის იმის გაგება, რომ ადამიანის საფუძველი საიმედოობაა. როგორი ჭკვიანი და გონიერიც უნდა იყოს ადამიანი, რა კარგადაც უნდა გამოუდიოდეს საქმე, თუ მისი ნდობა არ შეიძლება, თუ არ შეიძლება ყოველთვის გქონდეს მისი იმედი, — ასეთი ადამიანის ფასი კაპიკია.

ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე ამოწმებს ჩვენს დამოკიდებულებას მიცემული სიტყვისადმი, მოვალეობისადმი. არიან ადამიანები, რომლებიც იოლად შეგპირდებიან, „გავაკეთებო“, მაგრამ უმალ ივიწყებენ მიცემულ სიტყვას.

არ იფიქროთ, თბილისის სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატის, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის გივი გაჩეჩილაძისათვის ყოველივე ეს განყენებული რამ მოსაზრება იყოს. მას არაერთხელ შეუხედავს საკუთარი თავისა და სამუშაოსათვის სწორედ ზნეობრივი თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ადამიანი შრომით მოიპოვებს ავტორიტეტსა და გარშემო მყოფთა პატივისცემას, მაგრამ მაინც რისთვის შრომობს ადამიანი? რა სტიმულები ამოძრავებს მას? მზად არის თუ არა იგი, სხვებსაც გაუზიაროს თავისი მდიდარი გამოცდილება და ცოდნა? ალბათ ყველა არ უფიქრდება ამ საკითხებს, ბევრი არ ფიქრობს და არ სწუხს ამაზე. რამდენი ახალგაზრდა მუშა აღზარდა გივი გაჩეჩილაძემ თავისი ორმოცწლიანი შრომითი საქმიანობის განმავლობაში, რამდენს ასწავლა ყოველივე ამაზე ფიქრი — თვითონაც კი ვერ იტყვის. უბრალოდ, ძალიან ბევრს და მათ რიცხვში მისი ოთხი საკუთარი შვილიც არის.

შრომას ამ ოჯახში ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ.

— შეიძლება სულაც იმიტომ, რომ ყველანი სოფელში ვიზრდებოდით, სადაც საერთო შრომისგან განზე დგომა არავის ეპატიებოდა, არც დიდსა და არც პატარას...

მისი ჭაბუკობა ომის მძიმე წლებს დაემთხვა. მამაკაცები ფრონტზე წავიდნენ; ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ღორეშაში, ისევე, როგორც ყველგან, ძირითადად მოხუცები, ქალები და ბავშვებილა დარჩნენ. ბიჭები მალე ვაჟკაცდებოდნენ და მამაკაცების საზრუნავსაც თვითონვე ტვირთულობდნენ დაუფიქრებლად. ახლა ძნელი სათქმელია, როგორ აეწყობოდა მისი ცხოვრება, ომი რომ არა. მაშინ კი ნათელზე ნათელი იყო, რომ ქვეყანას მუშახელი აკლდა და ბიჭმაც შორაპანს მიაშურა, იქაურ საორთქლმავლო დეპოში დაიწყო მუშაობა ხარატად, პარალელურად კი საღამოს სკოლაში სწავლობდა. ასე დაიწყო გივი გაჩეჩილაძის შრომითი ბიოგრაფია. აქ, დეპოში, გაიარა მან პირველი შრომითი სკოლა. აქვე იგემა პირველი წარმატების სიხარულიცა და წარუმატებლობის სიმწარეც. 1957 წელს კი თბილისში გადავიდა და მუშაობა დაიწყო ქარხანაში, რომელიც მისთვის და, მოგვიანებით კი მისი ვაჟიშვილისთვისაც, მშობლიური გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ, გივი გაჩეჩილაძის ხასიათის გაგება ყველაზე უკეთ სარემონტო-მექანიკური საამქროს იმ პარტიულ კრებაზე შეიძლებოდა, რომელზეც საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მერაბ გაჩეჩილაძის განცხადება განიხილებოდა სკკპ წევრობის კანდიდატად მისი მიღების თაობაზე. ბევრი კარგი და საქებარი სიტყვა ითქვა იმ დღეს მერაბის მისამართით, და დამსახურებულადაც. ახალგაზრდა, კეთილსინდისიერმა ზეინკალმა და გულისხმიერმა ამხანაგმა არა მხოლოდ კომკავშირელების, არამედ უფროსი თაობის მუშების პატივისცემაც დაიმსახურა. თითქოს არაფერს უნდა შეეშალა ხელი, მაგრამ აი, სიტყვა საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა გივი გაჩეჩილაძემ აიღო:

— მე მიმაჩნია, რომ პარტიის წევრობის ღირსი მხოლოდ ყოველმხრივ უნაკლო ადამიანია...

ხანმოკლე პაუზას კრების მონაწილეთა შეცბუნება მოჰყვა — მერაბს ხომ ყველა იცნობდა და იცნობდა, როგორც ღირსეულ ადამიანსა და მუშას. ბევრს კი ჯერ კიდევ იმ დროიდან ახსოვდა იგი, პატარა ბიჭობაში მამასთან რომ მოირბენდა ხოლმე, მთელ საამქროს რომ შემოივლიდა და ხან ვის მუშაობას ადევნებდა თვალს და ხან ვისას.

— ...კომკავშირულ მუშაკს, მეტადრე ლიდერს, — გააგრძელა პარტორგანიზაციის მდივანმა, — საქმიანობის ყველა უბნისადმი ერთნაირად ღრმა და გულისყურიანი დამოკიდებულება მოეთხოვება. მოდით, გავიხსენოთ, რა გვიჩვენა ქარხნის საერთო საცხოვრებელში საყოფაცხოვრებო პირობების შემოწმებამ. ან ჩვენს საღამოს სკოლაში როგორი მდგომარეობაა, რამდენი საათი შეადგინა უმიზეზო გაცდენებმა?.. განა შეიძლება მშვიდად იყო, როცა კომკავშირულ მუშაობაში ამდენ ნაკლოვანებას აქვს ადგილი?! პარტორგანიზაციის მრავალგზისი გაფრთხილების მიუხედავად, კომკავშირს არავითარი გადამწყვეტი ზომები არ მიუღია. მოგეხსენებათ, პირველ რიგში კომკავშირულ ლიდერებს მოეთხოვება საქმის ავ-კარგი, აქ კი გამოდის, რომ ისინი მთლად კეთილსინდისიერად არ ასრულებენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას...

მერაბ გაჩეჩილაძის პარტიის წევრობის კანდიდატად მიღების საკითხი ერთი წლით გადაიდო. იმაზე კი, თუ როგორ აღიქვა შვილმა მამის შენიშვნა, მეტყველებს ის ფაქტი, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისა და აქტიური კომკავშირული მუშაობისათვის მერაბ გაჩეჩილაძემ საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

— ძნელია მამასთან მუშაობა? — ვეკითხები მერაბს.

— მერე როგორ! მამა საერთოდ ძალიან მომთხოვნია ადამიანების მიმართ, ჩემს მიმართ ხომ... მოკლედ, მამას უნდა, რომ მე ყველაზე უკეთესი ვიყო, ჰოდა, თვითონ წარმოიდგინეთ, ძნელია თუ არა მასთან მუშაობა... — მერაბს ეღიმება, მამისკენ გაპარებულ მზერაში კი უღრმესი პატივისცემა და სიყვარულია.

გაჩეჩილაძეებს ოთხი შვილი ჰყავთ. ოთხივეს ცხოვრების დასაწყისი მამისას ჰგავს: დაიბადნენ ლორეშაში, იქვე გაატარეს ბავშვობის წლები, იქვე ეზიარნენ შრომას — ხან ვენახში ტრიალებდნენ უფროსების მხარდამხარ, ხან სიმინდის ყანაში, ხან საქონელს უვლიდნენ.

— მერვე კლასის შემდეგ კი საზაფხულო არდადეგებზე ყველანი აუცილებლად ვმუშაობდით. ჩვენივე გამომუშავებული ფულით ვყიდულობდით სასკოლო ნივთებს, ჩვენთვის საინტერესო წვრილმანს...

— ... და, რაც მთავარია. საკუთარი გამოცდილებით გებულობდნენ შრომის რაობასა და ფასს, — ეს უკვე მამამ ჩამოართვა შვილს სიტყვა. — ჩემთვის ეს პრინციპული საკითხია, ვინც უნდა გამოვიდეს ადამიანი, რა ხელობაც, პროფესიაც უნდა აირჩიოს, შრომითი ჩვევები ყოველთვის გამოადგება. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ახალგაზრდობის შრომით აღზრდაზე. მხოლოდ ლაპარაკით საქმე ვერ გადაწყდება — ადამიანმა საკუთარი შრომით გამომუშავებული მანეთის ყადრი უნდა იცოდეს. შრომის ფასი უნდა გაიგოს. ჩვენი ქარხანა თბილისის რამდენიმე სკოლას შეფობს და მე ძალიან მაღელვებს იმ გოგო-ბიჭების ბედ-იღბალი. ჩვენთან რომ დადიან — რას ღებულობენ ისინი ამ სიარულში, რას ხედავენ, რას ფიქრობენ, რას სწავლობენ? — აი, ეს უნდა გვაღელვებდეს პირველ რიგში ჩვენც და ამ ბავშვების აღმზრდელ მასწავლებლებსაც. ეს პროფორიენტაციის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა გახლავთ და მისი გადაწყვეტის სისწორესა თუ უსწორობას დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ყმაწვილი კაცის შემდგომი ცხოვრებისათვის, ადამიანის ბედნიერება ხომ



მერაბისათვის მთავარი ავტორიტეტი ისევ მამაა. თუ რამე არ გამოდის, მამას მიმართავს და — ყველაფერი კარგად იქნება.

ცხოვრებისეული გზის არჩევაზეა დამოკიდებული...

გაჩეჩილაძეების შვილებს, ალბათ, ბედნიერები ეთქმით — თითოეულმა მათგანმა კარგად იცოდა, რა გზას ირჩევდა ცხოვრებაში. მევლუდმა რამდენიმე წელი იმუშავა მუშად, ირაკლი მშენებლობაზე მუშაობდა, ლალი — მხაზველად. დღეს სამივე ინჟინერია და გულის სიღრმეში სამივე მადლობელია მამისა შრომის იმ გაკვეთილებისათვის, ცხოვრების ზღურბლზე მდგომთ რომ ჩაუტარა.

სწავლის გაგრძელებას მერაბიც აპირებს, მით უმეტეს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი თითოეულის წინაშე გაზრდილ ამოცანებსა და პრობლემებს აყენებს. აი, მაგალითად, შემოდგომაზე მერაბი ახალ საწარმოო უბანზე გადაიყვანეს, რომლის ბაზაზეც არასტანდარტული აღჭურვილობის საამქროს შექმნაა ნავარაუდევი. მიზანი საწარმოო პროცესის ავტომატიზაცია, ხელით შრომის წილის შემცირებაა. პროგრესი კი არა მხოლოდ მეცნიერებისა და სპეციალისტების საქმეა, იგი პირველ რიგში იმათი საქმეა, ვინც საამქროებში შრომობს და საკუთარი ხელით შეაქვს ქმედითი წვლილი ამ პროგრესში.

— მანქანამ რომ საიმედოდ იმუშაოს, ადამიანს ღრმა და ფართო ცოდნა სჭირდება. ასე რომ, საქმე ქვეყნისა გვაქვს, — ამბობს მერაბი.

— კი ბატონო, სამუშაოს კი ართმევ თავს, მაგრამ პირადი ცხოვრება ვერ გაქვს მოწესრიგებული, აწი კია დრო ოჯახს მოეკიდო, სხვა არა იყოს რა, ოცდაათი წლისა ხარ... — შეაპარა მამამ.

მაგრამ მერაბმა სხვა თემაზე გადართო ლაპარაკი. საერთოდ, გაჩეჩილაძეებთან ასეა მიღებული — არავინ არავის არ ახვევს საკუთარ აზრს, გინდა თუ არა, ისე მოიქეცი, როგორც მე გეუბნებიო. ყველა თვითონ წყვეტს პრობლემას და ალბათ მერაბიც მალე მოუვლის გადასაწყვეტს. ასე იყო მაშინაც, როცა სკოლის დამთავრების შემდეგ მერაბმა ქარხანაში მუშაობა გადაწყვიტა. მამას, რა თქმა უნდა, ესიამოვნა, რომ შვილი მის კვალს გაჰყვა, მაგრამ თვითონ საამისოდ მცირე ბიძგიც კი არ მიუცია, რადგანაც მიაჩნდა, რომ თექვსმეტი წელი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების ასაკია.

ხშირად კამათობენ მამა და შვილი, მათი აზრები და შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს.

— მამა ცხოვრობს პრინციპით: „ნურასდროს ნუ გადასდებ სახვალიოდ იმას, რისი გაკეთებაც დღეს შეიძლება“, — გვაცნობს მერაბი მამაშვილის მუდმივი უთანხმოების არსს. — განა არ მესმის, ოქროს წესია, მაგრამ... ყოველთვის არ ხერხდება მისი დაცვა.

— არ ხერხდება კი არა... უბრალოდ, იმის ბრალია, რომ ყველაფრით იცი გატაცება, — ჩაერთო საუბარში მამა, — რაღაცას წამოიწყებ, მაგრამ როგორც კი სირთულეს გადააწყდები, მიატოვებ, სურვილიც გინელდება და მონდომებაც. დაწყებულ საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა, შენც კარგად იცი.

— ვიცი, ვიცი, შენ ახლა ჩემი სამუშაო ადგილი გაქვს მხედველობაში. ხდება ხოლმე, რა ვქნა, ხანდახან ვერ ვასწრებ მის დალაგება-მოწესრიგებას.

— თუ, უბრალოდ, მნიშვნელობას არ აძლევ ამ ამბავს? აბა დაფიქრდი...

მამა მშვიდად, დინჯად ლაპარაკობს და მისი ეს სიდინჯე, საფუძვლიანობა ყველაფერში იჩენს თავს — დიდ საქმეშიც და მცირეშიც.

— ხშირად გაიგონებთ: როგორ უნდა ვზრდიდეთ შვილებს? მართლაცდა, როგორ უნდა ვზრდიდეთ? — კითხულობს ბატონი გივი — გამზადებული რეცეპტები ამ საქმეში არ არსებობს. მე მხოლოდ ერთს ვიტყოდი — ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი ყველაფერს ხედავს, ამჩნევს, აღიქვამს, ითვისებს.

●

გაჩეჩილაძეების დიდ ოჯახში ასეა მიღებული — სიხარულსაც და საფიქრალსაც ყველა ერთნაირად ინაწილებს. ასე იყო, როცა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატებად არჩეულ ვაგონშემკეთებელი ქარხნის ექვს წარმომადგენელს შორის ორი ამ ოჯახის წევრი აღმოჩნდა — მამა, გივი და შვილი, მერაბი. შვილს პირველად მოუხდა რესპუბლიკის კომუნისტთა დიდი ფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მიღება, მამისთვის კი ეს მეოთხე ყრილობა იყო. საქმიანმა და დაინტერესებულმა ვითარებამ, რომელშიც ყრილობა მიმდინარეობდა, მისმა გადაწყვეტილებებმა ახალი, გაზრდილი ამოცანებისა და გეგმების გადასაწყვეტად განაწყო რესპუბლიკის მშრომელები და მათ რიცხვში, ვინც უკვე შეუდგა მათ განხორციელებას, არიან გივი და მერაბ გაჩეჩილაძეები, ოთხმოციანი წლების კომუნისტთა ორი თაობის ღირსეული წარმომადგენლები.



შესვენებისას: გივი გაჩეჩილაძე და მისი ამხანაგები ეცნობიან ყრილობის დოკუმენტებს. ბრიგადას დიდი საქმეები ელის წინ.

თ. ცაგარელის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მხატვარი გივი პეტრიაშვილი

მოთხრობა



# ჩაშლილი წარმოდგენა

ნათიას მამა, ჩემი მეზობელი კოტე ძია, შარშან ავარიაში მოჰყვა. იმის მწვანე „ჟიგულს“ „ვოლგით“ დაეჯახა ვიღაც მთვრალი, მანქანა დაუმტვრია. კოტე ძიას მარცხენა წარბი კაკლის ლენჯოსავით გაუსკდა, ფეხი მოსტყდა და სამი თვე საავადმყოფოში იწვა. ფეხს ახლაც იტკივებს, ჯოხით დადის. იმ ავარიის შემდეგ შესძავრდა მანქანა და თავისი დამტვრეული „ჟიგული“ ჩალის ფასად გაყიდა.

დარჩათ უმანქანოდ გარაჟი. ისე ხომ არ იქნებოდა გამოცარიელებული და, ნათიას დედამ, ქეთო დეიდამ შიგ ქვეყანა ხარახურა შეყარა.

ერთ დღეს ნათიამ დამიძახა და მითხრა:

— დათო, მოდი, ჩვენს გარაჟში თეატრი მოვაწყოთ. ვუთხრათ სხვა ბავშვებსაც და წარმოდგენები გავმართოთ.

რაღა დაგიმალოთ და, ძალიან მორცხვი ბიჭი ვარ. პატარა რამეზე წამოვწითლდები ხოლმე, ამის გამო ბიჭები დამცინიან. ჯერ არავის ახსოვს, რომ სცენაზე გამოვსულიყო ან ლექსი მეთქვას, ან მემღეროს, არც რაიმე დადგმაში მიმიღია მონაწილეობა, ამიტომ ნათიას მაშინვე როდი დავეთანხმე. ჩემს მაგიერ სხვა ვინმე მოძებნე, აჯობებს-მეთქი, და მიზეზი ავუხსენი.

— შენ არხეინად იყავი, სცენაზე არ გამოგიყვან, მარტო თეატრის მოწყობაში მომეხმარე, ფარდას გასწევ-გამოსწევ, სცენას მოაწესრიგებ, მოკარნახე იქნები, იჯდები ფარდის უკან და შეგვახსენებ, ვინ რა უნდა ვთქვათ! — დამარიგა ნათიამ.

აღარ გავჯიქებულვარ და თანხმობის ნიშნად ორივე ხელი მაღლა აღვმართე.

ზაფხულის არდადეგები გვქონდა და საქმეს იმავე დღეს შევუდექით. ნათიამ თავის დედას უთხრა, რისთვისაც გვჭირდებოდა გარაჟი, დაითანხმა, და რაც იქ იყო შებარგებული, სარდაფში ჩავზიდეთ, გარაჟში მარტო ისეთი რამეები დავტოვეთ, რაც სცენის მოსაწყობად გამოგვადგებოდა. სარდაფში არ ჩაგვიტანია ფეხმორყეული მაგიდა, რამდენიმე ცალი სკამი, წყლის სურა, საყვავილე ლარნაკი და მწვანეაბაჟურიანი ძველი ლამპა.

ჩვენ რომ ამ ამბავში ვართ, ნათიას მეგობარი გოგონებიც მოვიდნენ. ჯერ ნინომ მოგვაკითხა, მერე — ასმათმა და მისმა ძმამ, ტარიელმა. ვუთხარით, რასაც ვაკეთებდით და ისინიც ხალისით ამოგვიდგნენ მხარში. გოგონებმა გარაჟის დაგვა-დასუფთავებას მიჰყვეს ხელი. მე და ტარიელმა ჩაქუჩი და ლურსმანი მოვიტანეთ, მაგიდას და სკამებს ყანყალა ფეხები გავუმაგრეთ, გარაჟის ერთი კედლიდან მეორემდე ალუმინის მავთული გავჭიმეთ და ზედ ნათიას დედის მოცემული ცისფერი ფარდა ჩამოვკიდეთ.

— ყველა-ყველა და, რის დადგმას ვაპირებთ? — დაინტერესდა ტარიელა.

— მართლა, ნათია, პიესა გვაქვს რამე? — იკითხა ნინომ.

— ჯერჯერობით არაფერი!

— აბა, რა ვქნათ?

— რამე გავასცენიუროთ! — წამოიძახა ასმათმა. — ავიღოთ რომელიმე მოთხრობა ან ზღაპარი და პიესად გადავაკეთოთ!

— კარგი აზრია, — კვერი დაუკრა ნათიამ.

— თქვენ ასე ადვილი გგონიათ მოთხრობის ან ზღაპრის გასცენიურება? — ჩაიცინა ტარიელამ.

— თუკი მოვიწადინებთ... — აღარ დაამთავრა ასმათმა და ღიმილით ტარიელაზე თვალით მანიშნა,—რას იტყვი, დათო, ვის შეუძლია პიესა წამოგვამშველოს?

ასმათს ადვილად მივუხვდი, ვისი იმედიც ჰქონდა. აღარ შევყოყმანებულვარ და მივუგე:

— ტარიელას!

— მე?! — გაოცებული თვალებით შემომხედა იმან. — საიდან მოგიფრინდა ეგ სულელური აზრი?!

— რა ვიცი, ლექსებსა და მოთხრობებს შენ წერ, ჩვენი რაზმეულის კედლის გაზეთი უშენოდ არ გამოდის და...

— პიესა სულ სხვა რამეა, არ დამიწერია და ნურც გექნებათ ჩემი იმედი, — სასტიკი უარი განაცხადა ტარიელამ.

— სცადე რა, ტარიელ, შენთვის ძნელი არ უნდა იყოს, — შეეხვეწა ნინო. — მე ძალიან მინდა წარმოდგენა გავმართოთ, მსახიობობაზე, იცი, რამდენი მიოცნებია?

— ცოდვააა, ნუ ჩაუხშობ ნიჭს, — წაიფხუკუნა ასმათმა და მერე სერიოზულად დაუმატა: — შენ ხომ შარშან პიესაც დაწერე?

ტარიელამ შუბლი შეიკრა, დას თვალები გადაუბრიალა:

— რა პიესა, რას რატრატებ, არ იცი?

ასმათმა ვითომ ვერ შენიშნა, ძმა თვალებს რომ უბრიალებდა.

— რა და, მოიცა, მგონი ასეთი სათაური ჰქონდა: „წიგნის ჭია“, ხო, ხო. მაპატიე და მე შენუჩუმრა წავიკითხე კიდეც.

— მართლა გაქვს დაწერილი? — გაუხარდა ნათიას.



საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ ჩიტირეკიას უჯერებ? — ტარიელამ დას მუშტი მოუღერა.

— აბა, აბა, ნუ იმუქრები. თუ დაწერილი გაქვს და კარგია, მწნილად ხომ არ უნდა ჩადო, მოიტანე და წავიკითხოთ.

ტარიელა მაინც ჯიუტობდა:

— პიესა ჩემთვის დავწერე, გამოსაჩენად არ ღირს!

ჩვენ აღარ მოვეშვით. მანამდე ვეჩიჩინეთ, ვიდრე ის რვეული არ მოგვიტანა, სადაც პიესა ეწერა.

პიესა ერთმოქმედებიანი იყო. სულ ოთხი პირი მონაწილეობდა: წიგნის ჭია — ზაზა, ბიჭი, რომელიც მარტო სათავგადასავლო წიგნების კითხვით არის გატაცებული და გაკვეთილების მოსამზადებლად ვეღარ მოუცლია; ტომი — „ტომ სოიერის თავგადასავლის" მთავარი გმირი, სიზმრად რომ გამოეცხადება წიგნის ჭიას; შადიმანი — ზაზას ძმა; მას, პირიქით, წიგნების კითხვა არ უყვარს და ყოველთვის სასაცილოდ იგდებს თავის უფროს ძმას; წიგნის ჭიას დედა — ზაზას უჭმელობითა და უძილობით დადარდიანებული.

პიესა წავიკითხეთ. ავტორის — ტარიელას იდეა მოსაწონი იყო: გიყვარდეს წიგნი, ოღონდ მისი კითხვის დროს დაიცავი ზომიერება, წიგნმა არ უნდა დაგავიწყოს ყველაზე მთავარი — გაკვეთილები.

როლები გავანაწილეთ.

წიგნის ჭიას განასახიერებდა ბიჭურად ჩაცმული ნინო, ზაზას ძმას, შადიმანს — ტარიელა, ტომ სოიერს — ასმათი, ზაზას დედას — ნათია.

ამავე დროს მან რეჟისორის მოვალეობაც იკისრა.

მე, როგორც ნათია დამპირდა, უროლოდ დავრჩი, სამაგიეროდ დეკორატორისა და მოკარნახის ტიტულები მომანიჭეს.

იმ დღიდანვე დავიწყეთ წარმოდგენის მომზადება. ნათია, ნინო, ასმათი და ტარიელა როლებს იზეპირებდნენ, მე სცენისა და დარბაზის მოსაწყობად ვზრუნავდი.

წარმოდგენა სამი დღის შემდეგ, კვირადღის საღამოსათვის დავნიშნეთ. მაყურებელი სიცხით რომ არ გაბეზრებულიყო, გარაჟის წინ ეზოს ნაწილი მოვრწყეთ და სკამები ჩავამწკრივეთ.

ერთი აფიშა გვქონდა, ეზოს გარეთ, ქუჩაში გაკრული. დანიშნულ დროს კი იმდენი მაყურებელი მოგვაწყდა, ცარიელი ადგილი არ დარჩენილა, პირიქით, სკამები დავამატეთ კიდეც. მეტწილად ბავშვები და მოხუცები გვესტუმრნენ.

— ოხ, როგორ ვღელავ, — ოხრავდა ჩემს ძველ შარვალ-ხალათში ბიჭურად გამოწყობილი ნინო, სახეწამოწითლებული იდგა ფარდის უკან და გარეთ იჭყიტებოდა, ნეტავი დედაჩემი არ მოვიდეს, მთლად ამერევა ჩეჩმაკებიო. არც ტარიელა და ასმათი იყვნენ კარგ დღეში, ნეტავი ჩავფლავდებით თუ კარგად გამოგვივა ყველაფერიო. დამნატროდნენ, რა ბედნიერი ხარ, კარნახი და ფარდის გაწევ-გამოწევა რომ გაკისრიაო. მარტო ნათია იყო მშვიდად: მე მომბაძეთ, სცენაზე გამოსვლას



რა უნდა, იყავით გაბედულები, რას ღელავთო.

მე ვიჯექი უდარდელად, ხელში პიესის ტექსტით გადაჭრელებული რვეული მქონდა მომარჯვებული და წარმოდგენის დაწყების ნიშანს ველოდი.

მაგრამ, ვიდრე წარმოდგენას დავიწყებდით, ისეთი რამ მოხდა, რეჟისორი კინაღამ ჭკუაზე შეიშალა: ნინო სადღაც გაქრა, ეტყობა, ნერვებმა უმტყუნეს და გაიპარა. მერე რა დროს, როცა ფარდა უნდა გამეხსნა! ასმათმა და ტარიელამ უარესად ჩამოყარეს ყურები. ნათია თითებს იმტვრევს, ლამის იტიროს.

— ვაი, რა გვეშველება, შევრცხვით ამოდენა ხალხთან, ნეტავი არ დამეწერა პიესა, — იბოლმება ტარიელა.

— რატო ენა არ მომტყდა, რისთვის ვთქვი, რომ ჩემს ძმას პიესა აქვს დაწერილი-მეთქი, — ჩალის ქუდი ლამის ნაფლეთებად აქციოს ტომ სოიერმა — ასმათმა.

გარეთ ვიღაც ბიჭი ყვირის:

— დაიწყეთ, დაიწყეთ!

იმას სხვამ აუბა მხარი:

— მართლა არტისტებივით არ გვალოდინებენ? — და გაიცინა.

— რა ვქნა, დათო? — ნათია პირში მომჩერებია, ჩემგან ელის პასუხს, თვალები ცრემლითა აქვს სავსე.

— რა ვიცი, ნათია, წავიდე, მოვძებნო? — მზად ვარ ნინოს მოსაძებნად გავიქცე.

— ამ ხალხს მოცდა რომ არ უნდა? — მაყურებლებიდან ვიღაცამ დაუსტვინა.

— გესმის? — ნათიამ ფარდისკენ გაიშვირა თითი და ლოყაზე ცრემლი დაუგორდა.

მისი შემხედვარე ასმათიც ატირდა.

— მსახიობობაზე ვოცნებობო, ამის შემდეგ რამე დაეჯერება? უსინდისოა და მეტი არაფერი!

— მოდი, წარმოდგენა გადავდოთ, — გვირჩია ტარიელამ.

— ჰო, რა უშავს, ნათია, — ძმას მიემხრო ასმათი, — გამოვაცხადოთ, რომ მთავარი როლის შემსრულებელი ავად გახდა, წარმოდგენა არ შედგება, რისთვისაც ბოდიშს მოვუხდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გამაგონოთ, დაგვცინებენ, — ყურებზე ორივე ხელი აიფარა ნათიამ.

— დაიწყეთ! — კვლავ აყვირდა ვილაც, მერე ისევ დაუსტვინეს.

— მოითმინეთ, ხალხო! — მოისმა კაცის ხმა. იმ ხმაში ნათიას მამა კოტე ძია შევიცანი. ისიც მოსულიყო წარმოდგენის სანახავად.

— მართლა თეატრში ხომ არ გგონია შენი თავი, — ალბათ დამსტვენს გაუწყრა ნათიას დედა.

— მაშ როგორ მოვიქცეთ? — ახლა მე ვეკითხები ნათიას.

იმან ცრემლიანი თვალები ცხვირსახოცით შეიმშრალა და მეუბნება:

— დათო, შენ უნდა იყო წიგნის ჭია.

— მეე?! — ცხვრის ბლავილივით ამოვუშვი ყელიდან ეს ერთი სიტყვა და, თითქოს ნემსი მაძგერესო, სკამიდან ისე წამოვხტი.

— ჰო, რა, გეხვეწები. როლი ზეპირად იცი, მიზანსცენებიც გახსოვს, უარს ნუ გვეტყვი, დათო! — რეჟისორმა ლამის ყელი გამოიღადრა.

— ხომ იცი, რა უნიჭო ვარ, თანაც მორცხვი, ჩავფლავდები... მე ხომ სცენაზე არასოდეს გამოვსულვარ...

— ნუ გეშინია, შენ არც ისე მორცხვი ხარ, როგორც გგონია, ამ ხალხის ხათრით გაბედე, ბიჭო!

ახლა ტარიელა და ასმათი შემომიჩნდნენ:

— ნუ გაგვაწბილებ!

— დაამტკიცე, რომ ვაჟკაცი ხარ!

სამივეს ისეთი მუდარით სავსე თვალები ჰქონდა, რომ უარი ველარა ვთქვი; მართლა და მართლა, ვინა ვარ, ამხანაგებს გაჭირვებაში თუ არ გამოვადექი? მოვიკრიბე გამბედაობა, ერთი მაგრად ჩავისუნთქეამოვისუნთქე ჰაერი და ნათიას ვუთხარი, წარმოდგენა დავგეწყო.



ალარ მოვყვები წარმოდგენის მსვლელობას. ეტყობა, ყველაფერი კარგად გამოდიოდა, რადგან მაყურებლები ხან ისე სულგანაბული იყვნენ, ნათიაანთ სახლის ჭერიდან მერცხლის ბარტყების ჭყივილი გვესმოდა; ხანაც გულიანად იცინოდნენ და მოწონებით გვიკრავდნენ ტაშს.

როცა მე და ტომ სოიერი, რა თქმა უნდა, სიზმარში, ერთმანეთს ვხვდებით და მე მას ვეხვეწები, ჰეკლბერი ფინს შემახვედროს, რომ მათი ჭირი და ლხინი გავიზიარო, ფარდასთან მიკუჭული, სახეგაბრწყინებული ნათია დავინახე, — ცერა თითს მაღლა ეწეოდა, კარგიაო.

სიზმრის სცენა მთავრდება. მაგიდაზე წიგნზე თავდამხობილს მეღვიძება. ტომი იქ ალარ არის, ვდარდობ, რომ სიზმარი იყო და არა ცხადი. შემოდის დედა, ცალ ხელში პურით სავსე თეფში უჭირავს, მეორეში — მათლაფა კერძით.

დ ე დ ა: აი, რა გიყო წიგნის უთავბოლო კითხვამ. ზეზეურად გეძინება. ჭამე მაინც, შვილო, თავს რას იკლავ მშიერი, რას დაემგვანე, დედა გენაცვალოს, ისე ჩამოხმი, ნემსის ყუნწში გაეტევი, ნახე, რა გემრიელი კარტოფილის სუპი მოგიტანე. იფ, იფ, ისეთია, ხელმწიფის საკადრისი.

მ ე: (ისევ წიგნს ვკითხულობ) მაცალე, დედა, ახლა ჭამის დროა?

დ ე დ ა: ადამიანს ალარ გავხარ, ლოყები ჩაგიცვივდა, ყურებში ციცინათელები გაგდის. შიმშილისაგან ფილტვები დაგისუსტდება, ბიჭო!

მ ე: ერთი წუთით...

დ ე დ ა: ვიცი, რაც არის შენი ერთი წუთი, ერთ ან ორ საათს გაიყვან, შეიძლება ოთხსაც...

მ ე: კარგი რა, დედა... ნუთუ არ იცი, რომ ხელს მიშლი?

დ ე დ ა: ეე, ჩემი ლაპარაკი წყლის ნაყვაა. ნეტავი შადიმანი, ის შენი მშვენიერი ძმა სადლა დაიკარგა. შენ წიგნებს ხარ გადაყოლილი, ის კი, პირიქით, თითსაც არ დაადებს წიგნს. არც გაკვეთილების დარდი აქვს. რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი, — ამოიოხრებს. მაგიდაზე პურსა და მათლაფას დადებს და გადის.

მე „ტომ სოიერის თავგადასავლიდან" ხმამაღლა ვკითხულობ:

„არდადეგები ახლოვდებოდა; მუდამ სასტიკი მასწავლებელი ახლა უფრო ულმობელი და მომთხოვნი გახდა: ძალიან უნდოდა, მის მოწაფეებს გამოცდებზე თავი ესახელებინათ. მისი ჯოხი და სახაზავი ერთ წუთს არ ისვენებდა. მისტერ დობინსს მეტად მძიმე ხელი ჰქონდა... თითქოს ნეტარებას გვრიდა, დაესაჯა მოწაფეები, თუნდაც სულ უბრალო დანაშაულისათვის. საცოდავი პატარა ბიჭები მთელი დღე შიშით ცახცახებდნენ".

უცებ შადიმანის ხმა ისმის:

— წიგნის ჭიას გაუმარჯოს! — შემოდის სცენაზე, ხელში დანით დაჭრელებული შვინდანწლას ჯოხი უჭირავს. ყურადღებას არ ვაქცევ, თეფშიდან პურს ვილებ, ვკბეჩ, მადიანად ვილუკმები და ისევ წიგნში ვიცქირები.

შადიმანმა ჯოხი გადმოყო ჩემკენ და წიგნი დამიხურა.

მ ე: შადიმან, ნუ მიშლი კითხვას (წიგნს ვფურცლავ).

შ ა დ ი მ ა ნ ი: ნეტავი რა ნახე მაგ წიგნში, ზედ რომ აკვდები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოხით წიგნს კვლავ მიხურავს, თან მღერის:

შე საწყალო, წიგნის ჭია,
ჭამე პური, თუკი გშია.

ვიდრე მე წიგნს ხელახლა გადავშლი, შადიმანი ჯოხს თავში ჩამკრავს. პიესაში ასეა, მაგრამ ტარიელამ ისე მაგრად ჩამარტყა, რომ თავი მეტკინა.

ამ დროს მე, ძმის თავხედობით გაჯავრებულმა წიგნის ჭიამ, შადიმანს პური უნდა ვესროლო და ვთქვა:

— უხ, შე მართლა მისტერ დობინსო. იმასავით ბოროტო და აბეზარო!

სწრაფად წამოვდექი სკამიდან, ხელი მაღლა ავწიე, რომ შადიმანისთვის პურის ნაჭერი მესროლა, მაგრამ უცებ გადავიფიქრე და გულში ვამბობ: პური გინდა შადიმანისთვის მისვრია, გინდა გადამიგდია, სულ ერთია. პურის გადაგდება კი არ შეიძლება! პური მაგიდაზე დავდე და, რაც პიესაში არ ეწერა, იმას ვღრიალებ:

— არა, მე შენ სხვანაირად მოგივლი, მისტერ დობინსო, წაგართმევ მაგ ჯოხს და ზურგზე გადაგამტვრევ!

— რას სჩადიხარ, ესროლე პური შადიმანს, — მესმის ნათიას ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები. — ესროლე, დათო, გეყურება?

მე მას ყურს არ ვუგდებ. მაგიდას გარშემო ვუვლი და შადიმანისკენ ჯიუტად მივდივარ. ის უკან-უკან იწევს, თვალებით რაღაცას მანიშნებს, მე არც იმის გამეგება რამე. მთავარია, ჯოხი წავართვა და ვასწავლო ჭკუა, რომ ხელი არასოდეს შეუშალოს ადამიანს, რომელიც წიგნს კითხულობს. სიჩქარეში უცებ სკამს ფეხი წამოვდე. სკამი გვერდზე გარახრახდა. წავბარბაცდი და გარაჟის კედელს შუბლით დავეჯახე. მაყურებლებში სიცილი გაისმა. ეგღა მაკლდა? ისე გავმწარდი, სად ვიყავი, მთლად დამავიწყდა. გაბოროტებულმა ორივე ხელი ფართოდ გავშალე, რომ ტარიელა დამეჭირა. ალბათ იმისთანა საშინელი სახე მქონდა, მიხვდა, თუ ხელში ჩამივარდებოდა, ხეირი არ დაეყრებოდა. გვერდზე გამიხტა და პირდაპირ მაყურებლებისაკენ გაიქცა. მიყოლას ვაპირებდი, მაგრამ წინ ნათია გადამიდგა.

— გადაირიე? გონს მოდი! — მიყვირა მან.

— მაშ შევარჩინო? ჯერ ჯოხით გამიტეხა თავი, ახლა მაგის მიზეზით შუბლით კედელს დავეჯახე, გამიშვი, — ვღრიალებდი მე.

— ხოდა, პური რატომ არ ესროლე! — ბობოქრობდა ნათია.

— პური? — მაგიდაზე პურს დავტაცე ხელი, ნათიას ცხვირთან მივუტანე და, მგონია, ჩემი ხმა ქუჩაშიც ესმოდათ, ისე ვყვიროდი: — რას ამბობ, რასა, ეს ხომ პურია, ჩვენი საზრდო, როგორ უნდა მესროლა, როგორ უნდა გამემეტებინა გადასაგდებად?!

ნათიამ აღარ იცოდა, რა ეთქვა. ჯავრისაგან ტუჩები უთრთოდა, ხელები თვალებზე აიფარა და ამის თქმაღა მოახერხა:



— დათო, რა ქენი, წარმოდგენა ჩაშალე!

მაყურებელი კი ტაშს უკრავს.

— კარგია, ყოჩაღ!—გაისმის უფროსების შეძახილები, ყიჟინებენ გოგო-ბიჭები.

ნეტავი რა მოეწონათ, თუ მართლა ჩავშალეთ წარმოდგენა?

სცენაზე კოჭლობით, ჯოხს დაბჯენილი კოტე ძია შემოვიდა.

— ძალიან ბუნებრივად გამოგივიდათ, ყმაწვილებო, — თქვა და ნათიას მხარზე ხელი გადახვია, — დათო მართალია, შვილო, პურის გადაგდება არ შეიძლება, პური ჩვენი საზრდოა და უნდა გავუფრთხილდეთ. ასე მგონია, თქვენი წარმოდგენის დასასრულიც ასე უნდა ყოფილიყო.

მოვიდა ქეთო დეიდაც.

— ყოჩაღ, დათო, შესანიშნავად თამაშობდი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მართლა მისდევდი საცემრად ტარიელს.

ხმა არ ამომიღია, ქება შევიფერე. რა იცოდა ქეთო დეიდამ, რომ არ სცდებოდა, და თითებით შუბლი მოვისინჯე; პალტოს ღილივით ზედ კოპი დამჯდომოდა.

— უი, დედა, რამხელა კოპი გაქვს! — ლოყაზე ხელი შემოიკრა ასმათმა.

— ცივი ტილო დაიდე, მალე გაგივლის, — მირჩია ნათიამ.

— ასე თავი არ უნდა გაგემეტებინა, შვილო, — ცხვირზე სათვალე მოირგო და ჩემს კოპს ისე ათვალიერებდა ქეთო დეიდა.

— რთული პროფესიაა მსახიობობა, — ღიმილით თვალი ჩამიკრა კოტე ძიამ და ფეხზე წამოშლილ მაყურებელს შეერია.

— ნეტავი შენი ძმა საით გაიძურწა? — ვკითხე ასმათს.

გვერდში ვიღაცამ მუჯლუგუნი მითავაზა.

მივიხედე. ტარიელა იყო. დაბნეული, ნაძალადევი ღიმილით შემომცქეროდა.

გამიხარდა იმის დანახვა. კიდევ კარგი, გამექცა, თორემ რაღაც უხეიროს ჩავიდენდი, შევრცხვებოდი. ერთმანეთს გადავეხვიეთ და სიცილი აგვიტყდა.

ახლაც, როცა იმ ამბავს გავიხსენებთ, გულიანად ვხარხარებთ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე დიდიმამიშვილი

# ყველაზე ბედნიერი ჩიტები

ყველაზე ბედნიერი ჩიტები
შენს ლამაზ სამხრეთში ფრენენ...
ყველაზე ბედნიერი ჩიტები
იმ სიყრმის სიმღერებს სტვენენ...

შენ იმ სამკაულით ირთვები,
ჩუმად ეფერები თვალით...
შენ შორს მოიტოვე კირთები,
დგები ნათელი წამით...

ყველაზე ბედნიერი ჩიტები
იმ შენს სარკმელთან ფრენენ...
ყველაზე ბედნიერი ჩიტები
იმ შენს სიმღერებს სტვენენ...

გრიგორე ვიერუ

# პური

კაცი ჩააგდებს ხნულში პურის თავთავის თესლს.
ჟუჟუნა წვიმა მორწყავს, თესლი გაიდგამს ფესვს.
მიწის ხნული და თოვლი არ გააკარებს ქარს,
მთელი ზამთარი თბილი საბანი ხურავს მას.
გაზაფხულზე კი, როცა თესლს დააცხუნებს მზე,
ლორთქო თავთავი მწვანედ წამოიწევა ზე.
მერე გასძახებს კაცი მეზობლებსა და ძმებს,
მომკის მოსავალს, მინდვრად დატოვებს მარტო ძნებს.
ხაბაზი ოქრო ხელით ღუმელში აცხობს პურს,
მარტო სურნელი ათრობს კაცის სულსა და გულს.
ქალი გოგორა პურს კოხტა ნაჭრებად ჭრის...
ვინც მოიყვანა პური — ვის არ ერგება, ვის?..
ყველა მიიღებს, ყველა, თავის არჩივს და წილს, —
დალოცვილ პურის ნაჭერს, — ასე იაფს და ძვირს.
მაგრამ შეხედეთ ხნულს, თოვლს, წვიმასა და მზეს —
ყველა მათგანი დღემდე პურის გარეშე ძლებს...
ისინი თავის არჩივს თქვენ გიტოვებენ, თქვენ, —
და პატარებმა უნდა დიდი მადლობა თქვან!

# ზღვასთან

— ზღვაო, ზღვაო, ზღვაო,
რას მაჩუქებ, ზღვაო?
— ფერად-ფერად თევზებს,
რაღა გინდა სხვაო.

ოღონდ მადლი ჰქენი,
ჩქარა გაიზარდე, —
უფრო მეტი გემი
მიიტანე ზღვამდე.

— ცაო, ცაო, ცაო,
რას მაჩუქებ, ცაო?
— მზეს, თოვლსა და წვიმას,
რაღა გინდა სხვაო.

ოღონდ მადლი ჰქენი,
ჩქარა გაიზარდე, —
მეტი რაკეტები
ამოსტყორცნე ცამდე.

— მამა, მამა, მამა,
რას მაჩუქებ, მამა?
— დედამიწას ფერადს,
ცოტა არის განა?

შენი იყოს, შვილო, —
მიწა მოხასხასე,
ზღვა — გემებით სავსე,
ცა — სინათლით სავსე.

# ბარტყები

— სუსტებო და ტანშიშვლებო,
პატარებო, არა გცივათ?
— დედამ ფრთები დაგვაფარა,
გაგვათბო და დაგვაძინა.

— დედა სახლში თუ არ არის,
თავზე წვიმა გესხურებათ?
— მაშინ ტოტი გადმოიწევს
და ფოთლები გვეხურება.

— დედა თუ არ დაბრუნდება?
ფოთლები თუ ჩამოცვივა?
— როგორ თუ არ დაბრუნდება!
ო, როგორ თუ ჩამოცვივა!...

# დედი, რატომ?...

— თმაში რად გაქვს თეთრი? —
მიპასუხე, დედი...
— შენზე ვფიქრობ, შვილო, —
მყავხარ ერთადერთი.

— ბებო მეტად ფიქრობს?
თმა აქვს თეთრზე თეთრი...
— ეს იმიტომ, შვილო,
შვილები ჰყავს მეტი.

— დეიდას რომ არ ჰყავს,
თმა რატომ აქვს თეთრი?
— მაგან გაათეთრა,
არ ჰქონია ბედი!

თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №4

## ბავშვობიდანვე უნდა ვუნერგავდეთ

დიახ, სწორედ ბავშვობიდან უნდა ვუნერგავდეთ ადამიანს საერთო, სახალხო დოვლათის მოვლა-გაფრთხილების გრძნობას, იმის შეგნებას, რომ ეს დოვლათი ისევ ჩვენი, ხალხის, ხელით და ისევ ჩვენთვის, ხალხისთვის, იქმნება. დამერწმუნეთ, იმ ბავშვების უმეტესობა, ახლა რომ ნერგს, ავტობუსის სკამს თუ სკოლის მერხს აფუჭებს, ხვალ ფაბრიკა-ქარხნებში, ვენახებში, პლანტაციებსა თუ ნებისმიერ დაწესებულებაში რომ მივა სამუშაოდ, ასევე დაუდევრად მოეპყრობა დაზგა-დანადგარებს, მანქანა-იარაღებს, სამუშაო მაგიდებს და ა. შ. ხოლო შემდეგ, თავის მხრივ არ იზრუნებენ იმაზე, რომ თავიანთ შვილებს ასწავლონ სიტყვა „ჩვენის" მნიშვნელობა, ასწავლონ სხვაზე ფიქრი და ზრუნვა. ასე კი შორს ვერ წავალთ, ვერ განვახორციელებთ ქვეყნის წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს.

კარგა ხნის წინ ნათესავთან ვიყავი ვაზისუბნის მესამე მიკრორაიონში და სწორედ შევესწარი, როგორ ასუფთავებდნენ ბავშვები ახლომდებარე ხევს. რა თქმა უნდა, ძალიან მესიამოვნა. შემდგომ ლაპარაკში გამოირკვა, რომ მიკრორაიონის ბავშვებს, რომელთა უმრავლესობა მე-40 სკოლაში სწავლობს, სპორტული მოედნებიც მოუწყვიათ, ეზოებიც მოუყვანიათ წესრიგში, სანაგვე ბუნკერებისთვისაც საკეტები დაუყენებიათ, ლიფტებიც დაუსუფთავებიათ და მოუწესრიგებიათ. ეჭვი არ არის, ასეთი ადამიანები ყოველთვის გაუფრთხილდებიან საერთო ქონებას და სხვასაც ასწავლიან ამას.

ლ. ბოკერია,
დიასახლისი.

## ეს ხომ დანაშაულია

არ შეიძლება გულგრილად წაიკითხო „პიონერის" ახალი დისკუსია „ჩემი" და „ჩვენი". წერილში მოყვანილი ფაქტები, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად გვხვდება. უფრო მეტიც, ეს დანაშაული ჩვენს თვალწინაც ხდება. ბევრს, ძალიან ბევრს მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებს და ასეთი რამ არა მხოლოდ მოზარდებში, არამედ უკვე ჩამოყალიბებულ ადამიანებშიც შეიმჩნევა, იმათში, ვინც მაგალითი უნდა მისცეს მოზარდს.

რაოდენ გულსატკენია, რომ საზოგადოებრივი ქონების გაუფრთხილებლობას თითქმის ყველგან ვხვდებით. რატომ უნდა იყოს ჩამომტვრეული ხის ტოტები, რომლებიც სიცოცხლისთვის აუცილებელ ჟანგბადს გვაწვდიან, ან რატომ უნდა გავაფუჭოთ ის მერხი, რომელზეც ჩვენ ვიზრდებით? თუ ვინმე შენიშვნას მისცემს საზოგადო ქონების გამფუჭებლებს, ისინი, როგორც წესი, აგდებით პასუხობენ: „მერე რა?", „რა მოხდა?", „რა შენი საქმეა?", „შენ ვინ გკითხავს?", „შენს რამეს ხომ არ ვაფუჭებ?" ყველა ადამიანის მოვალეობაა, გააფრთხილოს მოზარდი, შეაჩეროს იგი, არ მისცეს დანაშაულის ჩადენის საშუალება. ყველამ რომ მხოლოდ პირადულზე იზრუნოს, საერთო საქმე ვინ აკეთოს? რა თქმა უნდა, ვინც სასკოლო მერხებს აფუჭებს, კედლებს აზიანებს, ხეებს ამტვრევს, იმას საერთო-საზოგადოებრივი არ აინტერესებს. მე მიმაჩნია, რომ ყოველივე ეს უბრალო ანცობა კი არა, ნამდვილი დანაშაულია, დანაშაული ხალხის, საზოგადოების წინაშე, ყველა იმათ წინაშე, ვინც აშენებს, აკეთებს, რგავს...

ჩვენი მოვალეობაა, ხმა ავიმაღლოთ, წინ აღვუდგეთ ამგვარ საქციელს.

ლალი გიგოლაშვილი,
გორი, მეჯვრისხევის საშუალო სკოლა, IX კლასი.

## ვფიქრობ, უფროსების ბრალია

არც ისე დიდი ხნის წინ გაზეთ „სოციალისტურ რუსთავში" გამოქვეყნდა სოციალისტური შრომის გმირის არჩილ ძამაშვილის წერილი მისი ინიციატივის „გავეჯიბროთ ჩვენი ქალაქის სიყვარულში" შესახებ. აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ზოგიერთები მხოლოდ კერძო საკუთრებას უფრთხილდებიან, საერთო კი არაფერი აღარდებთ. ეს თემა დაემთხვა „პიონერის" ახალი დისკუსიის თემას და მეც გადავწყვიტე, ჩემი აზრი გამეზიარებინა თანატოლებისათვის.

შარშან ეზოში ორი ტირიფის ნერგი დავრგე. სათუთად ვუვლიდი, ყოველ დილით ვრწყავდი არა მარტო ჩემს ტირიფებს, ყველა ახლომახლო ხეს, ვუბარავდი ძირს და მიხაროდა, მოღონიერებულებს რომ ვხედავდი. ერთ დღესაც, აივნიდან რომ ვიყურებოდი, დავინახე, რომ სამი ბიჭი ტირიფს მისდგომოდა და ტოტს აჭრიდა. უცებ ჩავირბინე კიბე. ბიჭები საშურდულე ტოტებს არჩევდნენ, გულგახეთქილი მივვარდი, გავკიცხე, ავუხსენი, რომ ხეს მოვლა უნდა. ყველაზე მეტად მაინც იქ მყოფ უფროსებზე დამწყდა გული. ისინი მშვიდად იდგნენ და გულგრილად შეჰყურებდნენ, როგორ ჰკლავდნენ, დიახ, ჰკლავდნენ ცოცხალ ხეს. ნუთუ მათ მაინც არ იციან, რომ ქარხნების მტვერში გახვეულ ჩვენს ქალაქს გამწვანებული ეზოები და ქუჩები სჭირდება?! თუმცა რა უნდა ელაპარაკო, როცა უფროსებს თვითონვე არა ერთხელ გადაუტეხიათ ხე, ან კიდევ მათ სიახლოვეს ცეცხლი დაუნთიათ და თავისი დაუკვირვებელი საქციელით მოუსპიათ იგი. დარწმუნებული ვარ, ასეთი ადამიანები საკუთარ ბაღსა და ნაკვეთში ერთ ფოთოლსაც არ შეაცლიან ხეს და არც სხვას აპატიებენ ამას...

გოჩა კარაშვილი,
ქ. რუსთავი, მე-4 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა ეს? ან ჰქონდა თუ არა ამის უფლება ტურგენევს?

ახალგაზრდობაში მწერალს მხურვალედ და თავგანწირვით უყვარდა დედა.

ერთხელ ტურგენევი დილაადრიან სანადიროდ წავიდა. საღამოხანს ვარვარა პეტროვნამ მინდვრების დათვალიერება მოიწადინა და მოურავის თანხლებით იქით გაემგზავრა.

შებინდებისას არნახული სიძლიერის ქარიშხალი ამოვარდა. სასახლეში ყველა შეშფოთებული და გულგახეთქილი დარბოდა. ყველა გზაზე ხალხი დაგზავნეს.

პირველად ტურგენევი გამოჩნდა — თავით ფეხამდე გალუმპული. ქალბატონის აღზრდილი აღრიალებული შეეგება: „დედა მეხმა მოკლაო“. ივან სერგეევიჩმა ჯერ ვერაფერი გაიგო, მაგრამ, როგორც კი მიხვდა, ვარვარა პეტროვნა ეტლით წავიდა და აქამდე არ დაბრუნებულაო, ელვის სისწრაფით შევარდა საჯინიბოში, პირველსავე ცხენს მოახტა, ჭიშკარს გადაევლო და ქარიშხალში, თავსხმაში, წყვდიადში, თვითონაც არ იცოდა, საით გაქანდა.

ამ დროს გამოჩენილმა მოურავმა ყველა დაამშვიდა: ვარვარა პეტროვნამ ქარიშხალს მეტყევის ქოხში შეასწრო და ახლა არავითარი საშიშროება აღარ ემუქრებაო.

როცა, როგორც იქნა, ეტლის ბორბლების ხმაური გაისმა, ტურგენევმა დედა ხელში ბავშვივით ატატებული შემოიყვანა, თან სულ ხელებს უკოცნიდა.

დედისთვისაც უმცროსი შვილი თვალის სინათლე იყო (მას უფროსი შვილიც ყავდა — ნიკოლოზი). როცა ტურგენევი ბერლინის უნივერსიტეტში სწავლობდა, შვილს მონატრებული ვარვარა პეტროვნა თავის დღიურში ფრანგულად წერდა:

„ჩემს შვილს ივანეს. ივანე — მზეა ჩემი. მხოლოდ მას ერთს ვხედავ მუდამ. და როცა ის მიდის, ველარაფერს ვხედავ...“

შეუძლებელია ვარვარა პეტროვნას გულწრფელობაში ეჭვის შეტანა. მართალია, ამ სიტყვებს სენტიმენტალობის იერი დაჰკრავს, — იმ ლიტერატურის გავლენა, რომელზედაც ქალი აღიზარდა, — მაგრამ მათში ჭეშმარიტი გრძნობა გამოსჭვივის.

წვრილმანებშიც იგრძნობოდა მისი დედური ზრუნვა. საზღვარგარეთიდან შვილის დაბრუნების მოლოდინში ვარვარა პეტროვნამ განკარგულება გასცა, ალუბლის, ბლის და ქლიავის ხეები სახლთან ახლოს გადმოერგათ. „სახლთან ახლოს იყვნენ, ვანიჩკას ძალიან უყვარს ყოველგვარი ხილი, მე კი გავიხარებ, როცა ფანჯრიდან დავინახავ, რომ ის ხილს შეექცევა“.

ვარვარა პეტროვნას მაგიდაზე მუდამ ედგა საყვარელი ვანიჩკას აკვარელით დახატული პორტრეტი (საოცრად მიმსგავსებული სურათი — ყმა მხატვრის მიერ დახატული). როცა ვარვარა პეტროვნა სოფლებში მიდიოდა, ან ზამთრობით მოსკოვში, საკუთარ სახლში მიემგზავრებოდა, სურათი ერთთავად თან დაჰქონდა, როგორც „უძვირფასესი“ ნივთი. მაგრამ დადგა დღე, როცა ნაზი და მოსიყვარულე დედა საწერ მაგიდასთან მივიდა და „უძვირფასესი“ ნივთი იატაკზე დაანარცხა. ხმაურზე შინამოსამსახურემ შემოირბინა და სურათს დასწვდა, მაგრამ ვარვარა პეტროვნამ უყვირა:

— დაანებე თავი! ეგდოს!

რამდენიმე დღეს ასე ეგდო სურათი იატაკზე.

მართალია, შემდეგ მემამულე ქალის ბრძანებით სურათი აიღეს და თავის ძველ ადგილზე დააბრუნეს, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, ვარვარა პეტროვნამ მტკიცედ განაცხადა, რომ შვილს აღარასოდეს მიიღებდა (დედასთან შესასვლელად ნებართვის გამოთხოვა იყო საჭირო).

დედის სიკვდილამდე ტურგენევის ყველა ცდა, შეხვედროდა მას, უარს აწყდებოდა.

რატომ აღიმართა სიძულვილის ასეთი ყრუ კედელი გაღმერთებულ შვილსა და საყვარელ დედას შორის?

●

მიზეზი იგივე იყო, რამაც ესოდენ მძიმე და პირშეუკრავი ჭრილობა მიაყენა ყრუ-მუნჯ მეეზოვეს — ბატონყმობა.

ბატონყმური წყობილება მარტო ქვეყანას როდი ყოფდა ორ ნაწილად — ყოვლისშემძლე მიწათმფლობელებად და უუფლებო გლეხებად. თვით განათლებულ ზედა ფენებშიც გაჩნდა ხახადაღებული ნაპრალი.

ცალ მხარეს იდგნენ ისეთი სახელმწიფო წყობის მომხრენი, სადაც ბატონყმობა სახელმწიფოს ჩვეულებრივ, ნორმალურ საფუძვლად ითვლებოდა.

მეორე მხარეს კი — მოწინავე, ჰუმანური შეხედულებების ადამიანები, რუსეთის მცირერიცხოვანი, მაგრამ უკეთესი შვილები, რომლებსაც სამარცხვინო ბატონყმური უღლის გადაგდება სწყუროდათ.

ბატონყმობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა განხეთქილების მსახვრალი ხელი ხშირად ოჯახურ ჩარჩოებსაც სწვდებოდა და „მამათა და შვილთა“ მტკივნეულ პრობლემას აგრძელებდა.

ასე მოხდა ტურგენევების ოჯახშიც.

კონფლიქტი წლების მანძილზე გრძელდებოდა. გერმანიიდან დაბრუნებულ ტურგენევს 23 წელი შეუსრულდა. „არაჩვეულებრივად ნაზად ექცეოდა დედას. ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ჩახედვა და გარკვევა ყველაფერში, რაც სახლში ხდებოდა, ხოლო ადრინდელი ამბავი დავიწყებისთვის მიეცა, რადგან გულბოროტობისა არაფერი ეცხო“.

მერე კი გულგრილი დამოკიდებულება დამყარდა, რომელიც ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ იზრდებოდა. ტურგენევების სახლში კონფლიქტს არც „მამებისა“ და არც „შვილებისთვის“ იოლად არ ჩაუვლია.

ძალაუფლების სიყვარული და მორჩილების მოთხოვნილება — ასეთი იყო ვარვარა პეტროვნას ხასიათის ძირითადი თვისებები.

ძალაუფლების მოყვარულობა მხოლოდ მის ოჯახზე ან მხოლოდ მის ყმებზე არ ვრცელდებოდა. ვარვარა პეტროვნა მბრძანებლობდა ყველაზე, ვინც ირგვლივ ეხვია. „ხანდახან საკმარისი იყო მისი ერთი შეხედვა, რომ მოლაპარაკეს სიტყვა გაწყვეტოდა, თუკი ის იმას ამბობდა, რისი მოსმენაც ქალბატონს არ ნებავდა“.

ძნელი წარმოსადგენი კია, მაგრამ იყო წლები, როცა ეს ქალი საყვარელი შვილის საამებლად საკუთარი თავის დაძლევას ცდილობდა.

ის გულწრფელად ნაღვლობდა „ვანიჩკაზე“, როცა ის შორს იყო. ძალიან უნდოდა, არაფერი ეწყენინებინა შვილისათვის. პირველ ხანებში,



საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, „არა თუ არავის აბრალებდა დანაშაულს, ნამდვილად დამნაშავესაც კი იწყნარებდა. იმიტომ გულკეთილობდა ასე, რომ უნდოდა შვილის სახეზე კმაყოფილება ამოეკითხა“.

როცა თავის მოგონებებში ბატონყმურ ყოფას ასახავს, ქიტოვა სალებავების გამუქებას კი არ ცდილობს, პირიქით, ოდნავ არბილებს კიდეც. მაგრამ ის მაინც ცხადი და უდავოა, რომ ტურგენევის დედა, „რომელიც არავის ერიდებოდა, არავისთვის ღალატობდა საკუთარ თავს და პრინციპებს“, შვილის სიახლოვეს „ცდილობდა გულკეთილობა და მოწყალება გამოეჩინა“.

ყველასთვის, ვინც კი ვარვარა პეტროვნას იცნობდა, ძალიან კარგად იყო ცნობილი, რომ მის წინაშე „ვერავინ გაბედავდა“ გამოეთქვა საკუთარი აზრი, რომელიც ქალის აზრს არ ეთანხმებოდა“. მხოლოდ და მხოლოდ ივან სერგეევიჩი უთამამდებოდა დედას, თავდაპირველად იშვიათად, თანაც „ყველაზე რბილი, მოწიწებული გამოთქმებით, უფრო ვედრებით, ვიდრე გაკიცხვით“.

ვარვარა პეტროვნას ოჯახის ექიმი, პორფირი კარატაშევი, ყმა იყო. თავის დროზე საფერშლო სკოლაში გააგზავნეს, ცოტა რამეს ისწავლისო. როცა ტურგენევი ბერლინის უნივერსიტეტში სასწავლებლად წავიდა, კარატაშევი კამერდინერად გააყოლეს (უფრო კი კეთილი ბიძის როლში, როგორც საველიჩი „კაპიტნის ქალიშვილიდან“).

ტურგენევი მეგობრულად ექცეოდა მას და როცა გამოირკვა, რომ „ბიძამ“ მოკლე ხანში ისე კარგად შეისწავლა გერმანული ენა, რომ ყველაფერი კარგად ესმოდა და თვითონაც თავისუფლად ლაპარაკობდა, მისთვის სამედიცინო ფაკულტეტზე რეგულარული დასწრების ნებართვას მიაღწია. შინაყმა გერმანიიდან „ჩინებული ექიმის“ ცოდნით დაბრუნდა. მას ყურადღება მიაქცია თვით ინოზემცევმა — მაშინდელი რუსული მედიცინის ვარსკვლავმა, რომელიც ვარვარა პეტროვნას მკურნალობდა. ინოზემცევმა აღიარა კარატაშევის „ცოდნა და დიდი ნიჭიერება“ და ნება დართო, მის მოწაფეებთან ერთად დასწრებოდა ავადმყოფების გასინჯვას, მოესმინა მისი დიაგნოზი და დანიშნულებანი.

ვარვარა პეტროვნა დიპლომიან ექიმებზე უფრო კარატაშევს ენდობოდა. ყმა ექიმის სახელი მაზრის ფარგლებს გასცილდა. მემამულეები ეტლებს უგზავნიდნენ და ისე ეპატიჟებოდნენ. მაგრამ ავადმყოფის სანახავად მას მხოლოდ ვარვარა პეტროვნას ნებართვით შეეძლო წასვლა.

სახლში იგი ყველასთვის საყვარელი ექიმი იყო, მხოლოდ ვარვარა პეტროვნასთვის დარჩა ბოლომდე ყმად.

ტურგენევი ბევრჯერ შეხვეწნია დედას, ყმობიდან გაეთავისუფლებინა იგი, მაგრამ ვარვარა პეტროვნა უარზე იდგა.

წინააღმდეგ ჩვეულებისა, ტურგენევი ერთხელ შეეკამათა მას. დედამ არამც თუ არ დაუთმო, კარატაშევის მიმართ თავისი კეთილდამოკიდებულებით დაიტრაბახა კიდევაც — ბატონების სასახლეში ექიმს საკუთარი ოთახი აქვს, საჭმელს ბატონების სუფრიდან ღებულობს, ხოლო ჯამაგირი ყველა დანარჩენებისას ოთხჯერ აღემატებაო. „ეგ ყველაფერი შესანიშნავია, — არწმუნებდა შვილი. — მაგრამ ეგ უღელი მოაშორე კისრიდან! გეფიცები, სანამ შენ ცოცხალი ხარ, არ მიგატოვებს. ოღონდ საშუალება მიეცი, ადამიანად იგრძნოს თავი და არა მონად, არა ნივთად...“

დედა შეუდრეკელი აღმოჩნდა. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ განთავისუფლდა ყმობიდან კარატაშევი. ასეთი ხასიათი ჰქონდა ვარვარა პეტროვნას. იმათაც კი აწამებდა, ვისაც აღმერთებდა.

ყრუ-მუნჯ ანდრეის მიმართ კეთილად იყო განწყობილი, თავს იწონებდა „თავისი გოლიათი მეეზოვით“, მუდამ მშვენივრად ჩაცმული დაუდიოდა. ზამთარში ლამაზი მოკლე ქურქი ეცვა, ზაფხულში დაპლისული ხიფთანი ან ლურჯი არმიაკი“.

ასე ზრუნავდა ქალბატონი თავის მორჩილ მსახურზე მანამ, სანამ მუმუმ უდროოდ დროს არ დაიწკავწკავა...

ქიტოვა შემთხვევით აღმოჩნდა დედასა და შვილს შორის ალბათ ყვე-

ლაზე მნიშვნელოვანი შეტაკების მოწმე. რით დაიწყო, არ ვიცით. ქიტოვა შემთხვევით შევიდა ქალბატონის კაბინეტის გვერდით მდებარე ოთახში და ადრე დაწყებული ლაპარაკი გაიგონა. ვარვარა პეტროვნას ტონის მიხედვით უკვე შეიძლებოდა დადგენა, რომ ის მეტისმეტად უკმაყოფილო იყო.

„— არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ... ვერ გამიგია. ჩემი ხალხი თუ ცუდად ცხოვრობს და—აღარ ვიცი! რა უნდათ კიდევ? მშვენივრად არიან ჩაცმულდახურულნი, თანაც ჯამაგირს ღებულობენ. მითხარი ერთი, ბევრსა ჰყავს ყმები ჯამაგირზე?

— მე არც ვამბობ, რომ ისინი მშივრები ან ჩაუცმელნი არიან, — თავშეკავებით, ოდნავი ბორძიკით დაიწყო ივან სერგეევიჩმა. — ისინი ხომ კანკალებენ შენს წინაშე!

— მერე რა! — ისეთი ხმით ჩამოართვა დედამ სიტყვა, რომ მასში აშკარად ისმოდა: „ასეც უნდა იყოს!"

— აბა იფიქრე, maman, როგორია ადამიანისთვის განუწყვეტლივ შიშქვეშ ცხოვრება. წარმოიდგინე, მთელი ცხოვრება შიში და მხოლოდ შიში. მათი პაპები, მათი მამები, თვითონ ისინი სულ კანკალებენ, მათი შვილებიც წინასწარ არიან განწირულნი საძრწოლველად!.. "

ტურგენევი საზღვარგარეთიდან ხუთი წლის დაბრუნებული იყო. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რარიგ ამოუვიდა ყელში ყველაფერი ის, რაც მის ირგვლივ ყოველდღე ხდებოდა, რომ გადალახა თავისი ჩვეულებრივი მოწიწება დედის წინაშე და ხმა ამოიღო. მეტიც, გაბედა და პირდაპირ, აშკარად გაკიცხა ის, რასაც ვარვარა პეტროვნა თავის უწმინდეს და უმყარეს უფლებად თვლიდა.

ვარვარა პეტროვნა აღშფოთებას ვეღარ მალავდა.

— რომელი შიში? რაზე ლაპარაკობ?

— იმის შიში, რომ არც ერთ საქმეში, თავიანთი არსებობის არც ერთ საათში დარწმუნებულები არ არიან... შენ შეგიძლია აი, ახლა, ამ წუთში, — სულ უფრო და უფრო ფითრდებოდა ივან სერგეევიჩი, — ნებისმიერი იმათგანი გადაასახლო!

— რა თქმა უნდა, შემიძლია... დაიმსახურებს — გადავასახლებ.

— რომ არ დაიმსახუროს? ერთი შენი კაპრიზის, შენი ჟინის გამოც შეგიძლია?

— რასაკვირველია.

— ჰოდა, აი, დამამტკიცებელი საბუთიც... ისინი ადამიანები კი არა, ნივთები არიან!.. — გაცხარებით წამოიძახა ივან სერგეევიჩმა და ოთახში სწრაფი ბოლთის ცემა დაიწყო.

— დაჯექი, მაწუხებ მაგ შენი სიარულით, — აწყნარებდა დედა.— ჩემი ხალხი ცუდად ცხოვრობს? — უკვე ნაწყენი ხმით ლაპარაკობდა ქალი. — რას ამბობ, ჟან, გაგიჟდი თუ რა ამბავია? ვისგან გაიგონე ეგ?..

ტურგენევი ცდილობდა გადაერწმუნებინა, მაგრამ უშედეგოდ.

გავიდა რამდენიმე წელი. დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდა. ვარვარა პეტროვნას ქონება მილიონზე მეტად ფასდებოდა, მაგრამ მის ვაჟებს არსებობის საკუთარი სახსარი არ გააჩნდათ. ორივე ვალებში იყო ჩაფლული. დედას სთხოვდნენ, მცირე შემოსავალი მაინც გამოეყო მათთვის, რათა მატერიალურად დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ. მაგრამ ვარვარა პეტროვნას სწორედ ეს არ უნდოდა. მას ეწადა, შვილები სრულ, სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებაში ჰყოლოდა.

ქონების ნაწილზე მოსაჩვენებლად ნაჩუქრობის ქაღალდი შეადგინა და საზეიმოდ გადასცა შვილებს. მაგრამ რადგან ის ქაღალდი იურიდიულად გაფორმებული არ იყო, არავითარი ფასი არ ჰქონდა. ეს ყოველივე „სასტიკი გამასხარავების" ხასიათს ატარებდა. ვაჟებმა „მორჩილად გადაყლაპეს ბოროტი დაცინვა". ვარვარა პეტროვნა უკმაყოფილო დარჩა.

— მითხარი, ჟან, — მიუბრუნდა იგი უმცროსს, — რა იყო, გუშინ ასეთი საჩუქარი მოგართვი, შენ კი მადლობის გადახდაც არ მოისურვე?

ივან სერგეევიჩი ჩუმად იყო.

— ნუთუ ისევ უკმაყოფილო ხარ ჩემით?

— Maman... თავი დავანებოთ ამ ლაპარაკს... რად გინდა, რომ ისევ ანახლებ ამ...

— რატომ არ ამბობ ბოლომდე, რა ამ...?

— ...მე შემიძლია გავჩუმდე, მაგრამ ტყუილის თქმა და თავის მოკატუნება არ შემიძლია... ნუ მაიძულებ რამის თქმას, ძალიან მიმძიმს...

ვარვარა პეტროვნა ჩააცივდა და... გაჭიმული სიმი გაწყდა.

ტურგენევს შეეძლო „ყოფილიყო თვინიერი. მშვიდად, მოთმინებით, უსიტყვოდ გადაეტანა ყოველივე, როცა... შეურაცხყოფა ეხებოდა მხოლოდ მას". მაგრამ ეს ამბავი ძმის ინტერესებსაც გამოხატავდა და ტურგენევმა ვეღარ მოითმინა.

— ჩემს ძმას ცხოვრების სახსარი არა აქვს, საჭმელი არა აქვს.

— როგორ?! მამული?!

— არავითარი მამული არ არსებობს. შენ ჩვენთვის არაფერიც არ მოგიცია... მაგ შენს ნაჩუქრობას, როგორც შენ უწოდებ, არავითარი ძალა არ გააჩნია... რისთვისაა საჭირო მთელი ეს კომედია?

— შენ ჭკუიდან შეიშალე! — დაიყვირა ვარვარა პეტროვნამ. — გავიწყდება, ვის ელაპარაკები!

— აკი ამიტომაც არ მინდოდა ხმის ამოღება, აკი გაჩუმებას ვარჩევდი...

შვილის ხმაში ისეთი სევდა ისმოდა, თითქოს ცრემლები ახრჩობდა.



— მე ჩემი ძმა მეცოდება, — კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ გააგრძელა ივან სერგეევიჩმა. — რატომ დაღუპე? შენ... აიძულე სამსახური მიეტოვებინა, მთელი ოჯახით აქ გადმოსულიყო. რატომ? ხომ ცხოვრობდა იქ, ცხოვრობდა თავისი შრომით... და შედარებით დაწყნარებული იყო... აქ კი, მისი ჩამოსვლის პირველი დღიდან... შენ გამუდმებით აწამებ, ხან რით და ხან რით.

— რითი? თქვი, რითი? — ღელავდა ვარვარა პეტროვნა.

— ყველაფრით! — გამწარებული ივან სერგეევიჩი ყვირილზე გადავიდა. — შენ ვის არ აწამებ?! ყველას! ვინ სუნთქავს თავისუფლად შენს სიახლოვეს?... — შვილი დიდი ნაბიჯებით დადიოდა წინ და უკან. — ...ჩვენ ყოველთვის შენი პატივისმცემელი შვილები ვიყავით, შენ კი ჩვენი რწმენა და ნდობა არ გაგაჩნია... შენ მხოლოდ შენს ძალაუფლებას ერწმუნები. მერე რა მოგცა მაგ უფლებამ? მხოლოდ წამების, ყველას წამების ნება".

ვარვარა პეტროვნა თავის დაცვას შეეცადა.

— ეს რა ვყოფილვარ, ასეთი ბოროტება? ვის რა ბოროტება გავუკეთე?

— როგორ თუ ვის? აბა ვინ იყო შენს ირგვლივ ბედნიერი? მარტო პოლიაკოვი გაიხსენე, თუნდაც აგაფია, და საერთოდ ყველა, ვისაც შენ სდევნიდი, ასახლებდი. განა შეძლოთ იმათ შენი სიყვარული... შენ ყველას აუბედურებ...

— მე არც არასოდეს ვყვარებივარ ვინმეს, და არც არავის ვეყვარები. შვილებიც კი, ჩემი შვილები, ჩემი წინააღმდეგნი არიან!

ტურგენევი შეეცადა გადაერწმუნებინა დედა.

— არა მყავს შვილები! — უცებ დაიყვირა ვარვარა პეტროვნამ. — გადი აქედან.

— Maman, — მივარდა დედას ივან სერგეევიჩი.

— გადი აქედან! — უფრო ხმამაღლა გაუმეორა დედამ..."

სწორედ ამ ჩხუბის შემდეგ მოისროლა აღშფოთებულმა ვარვარა პეტროვნამ მაგიდიდან შვილის საყვარელი პორტრეტი.

ჟიტოვა დედის კაბინეტიდან გამოსულ ტურგენევს შეეფეთა. მას ცრემლები სდიოდა. თავი ჩაექინდრა და ისე მიდიოდა, „თითქოს უსაშველო დარდი მძიმედ დასწოლოდა გულზე".

საყვარელი შვილის განდევნამ და თავმოყვარეობის შეურაცხყოფამ ვარვარა პეტროვნაზე იმდენად მძიმედ იმოქმედა, ნერვული შეტევა დაემართა. არა მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი, ძლიერი. და მაინც, შვილების თხოვნისადმი, ნება დაერთო მასთან შესულიყვნენ, ქვასავით ყრუ და შეუვალი დარჩა.

გადაწყვიტა სპასკში დაბრუნებულიყო (ზევით აღწერილი სცენა მოსკოვში, პრეჩისტენკაზე, საგვარეულო სახლში მიმდინარეობდა). მისი აღზრდილი იძულებული გახდა შეეტყობინებინა, რომ მისი ვაჟები უფრო ადრე წავიდნენ.

— როგორ თუ წავიდნენ? — ვარვარა პეტროვნას ვერ დაეჯერებინა. წავიდნენ უნებართვოდ!.. მისი ამპარტავნობა ვერაფრით ვერ ურიგდებოდა ამ თავნებობას. „ვარვარა პეტროვნას ლამის სიგიჟის შეტევა დაემართა. იცინოდა, ტიროდა, რაღაც გაურკვეველ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს გაიძახოდა"...

მემამულე აღზრდილითურთ სოფელში წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ქალიშვილმა ცხენით გასეირნების ნებართვა მიიღო.

„უკვე სასეირნოდ გამოწყობილი, მათრახით ხელში შევედი ვარვარა პეტროვნასთან, რომელიც საშინლად აღშფოთებული დამხვდა. მის წინ მკვდარივით გაფითრებული პოლიაკოვი იდგა. კაცს ტუჩები უთრთოდა".

ვარვარა პეტროვნამ რომელიღაც თავადისაგან შეიტყო, რომ მის ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე ახალგაზრდა ბატონებს სპასკში შეევლოთ. დაეთვალიერებინათ სახლი, ბაღები, ორანჟერეა და საგრუნტე სარდაფები.

— როგორ გაბედე მათი აქ შემოშვება! — უყვიროდა პოლიაკოვს.

— უარი ვერ გავუბედე, ქალბატონო, — საკმაოდ მტკიცედ პასუხობდა პოლიაკოვი. — ისინი ჩვენი ბატონები არიან.

— ბატონები, ბატონები! მე ვარ შენი ქალბატონი, სხვა არავინ! — ამ სიტყვებით მათრახი ხელიდან გამომგლიჯა და პოლიაკოვს ზედ სახეზე გადაუჭირა"...

ახლა, მე მგონია, მკითხველი დაუფიქრებლად უპასუხებს კითხვაზე: ჰქონდა თუ არა ტურგენევს ზნეობრივი უფლება, „ქალბატონის" ასეთ უსახურ და უსანდომო როლში გამოეყვანა და საქვეყნოდ შეერცხვინა საკუთარი დედა (თუნდაც ისე, რომ სახელი არ ეწოდებინა მისთვის).

თარგმნა მედეა შავლიაშვილმა



თავისი სიცოცხლის მანძილზე ადამიანი (საშუალოდ) სჭამს 40 ათას კილოგრამ საკვებს და ჩაისუნთქავს დაახლოებით 850 ათას კუბურ მეტრ ჰაერს.

ადამიანის თავის ტვინის ნეირონთა ქსელი, რომელიც ჯერ კიდევ მთლიანად როდია შესწავლილი, 1400-ჯერ უფრო რთულია დღესდღეობით დედამიწაზე არსებულ სატელეფონო ქსელთან შედარებით.

ყოველ წამს თავის ტვინში მიმდინარეობს 100 000 ქიმიური რეაქცია.

თავის ტვინი ამუშავებს გრძნობათა ორგანოების მიერ მიღებული ინფორმაციის მხოლოდ 1%-ს, დანარჩენ 99%-ს კი, როგორც ზედმეტს, ტვინი უკუაგდებს.

თავის ტვინისთვის საკმარისია სულ რაღაც 0,05 წამი, რათა შეიცნოს ობიექტი, რომლის გამოსახულებაც აღიქვა თვალმა.

ადამიანის თვალის მგრძნობიარობა იმდენად მაღალია, რომ იდეალურ პირობებში მთის მწვერვალიდან შეუძლია შენიშნოს მისგან 80 კილომეტრის დაშორებით ანთებული ასანთის ღერი.

უჭმელად ადამიანმა შეიძლება იცოცხლოს რამდენიმე კვირა, უძილოდ კი — მხოლოდ 10 დღე-ღამე

# ბილიკებით

ჩვენი დედაქალაქის შემოგარენი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ახალი მშენებლობებით, ბუნების ულამაზესი ხედებით. მათი ნახვა და შესწავლა შეიძლება დასვენების დღეებში, ლაშქრობების თუ ექსკურსიების დროს. გარდა მშობლიური მხარის შესწავლისა, მოგზაურობას სხვა სიკეთეც მოაქვს — იგი ფიზიკურად წვრთნის ადამიანს.

ლაშქრობის დროს შეიძლება ჩატარდეს პრაქტიკული მეცადინეობა ორიენტირებაში, ტოპოგრაფიაში, ბოტანიკაში... ხანგრძლივი ლაშქრობის დროს, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში ეწყობა, შეიძლება შევისწავლოთ ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები, ეთნოგრაფია, ზეპირსიტყვიერება...




ყოველივე ეს პასუხობს მშთ-ს, ნორჩი ტურისტის, სსრკ-ის ტურისტის მოთხოვნებსა და ნორმებს.

ჟურნალის წინამდებარე ნომრიდან ვიწყებთ სარეკომენდაციო ტურისტული მარშრუტების გამოქვეყნებას. მათი ნაწილი ერთდღიანია, ნაწილიც — მრავალდღიანი.

## მამადავითის ჭალით კუს ტბამდე

მთაწმინდის პლატოზე, რომელიც თბილისს გადმოჰყურებს, რამდენიმე გზით შეიძლება ასვლა. ერთი მათგანია რუსთაველის პროსპექტიდან ბესიკის, შიო ჩიტაძის, დანიელ ჭონქაძის, დავით აღმაშენებლის ქუჩებით მთაწმინდის ძირამდე, სადაც ფუნიკულიორის ქვედა სადგურია (486 მ ზღვის დონიდან), იქიდან კი ვიწროლიანდაგიანი, 501 მ სიგრძე რკინიგზით — ზემო პლატომდე. ფერდობის დახრილობა 28-33 გრადუსია.

ფუნიკულიორი ბელგიელმა ინჟინრებმა ააგეს 1905 წელს. მოგვიანებით იგი გადაკეთდა. ფუნიკულიორის პლატო ზღვის დონიდან 720 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

1959 წელს რუსთაველის მოედნიდან გაიყვანეს ერთკილომეტრიანი საჰაერო-საბაგირო გზა. ზედა პლატომდე შეიძლება მისვლა სამანქანო გზითაც — კოჯრის გზატკეცილით. ყველაზე საინტერესოა გზა, რომელიც აუვლის მამადავითის ეკლესიასა და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს. ეკლესიისა და ქედის სახელი ერთ-ერთი „ასურელი მამის" — დავითის სახელთანაა დაკავშირებული. იგი 12 „წმიდა მამასთან" ერთად IV საუკუნეში მოსულა საქართველოში და თავის სამყოფლად ეს მთა აურჩევია. შემდეგში დავითი, რომელიც წმინდანად იქნა შერაცხული, გარეჯის უდაბნოში გადასახლდა. მის სახელთან არის დაკავშირებული დავითგარეჯის გამოქვაბულებიც. ეს ადგილები, როგორც დიდი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ძეგლები, დაცულია სახელმწიფოს მიერ.

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის ქვედა ტერასაზეა რუსი მწერლის ა. გრიბოედოვის საფლავი. მის გვერდით დაკრძალულია მისი მეუღლე, პოეტ ალ. ჭავჭავაძის ასული ნინო. ზედა ტერასაზე დგას მწუხარე ქალის ბრინჯაოს გორელიეფი, რომელიც ი. ჭავჭავაძის საფლავს დასცქერის. ეს ჩვენი სახალხო მოქანდაკის ი. ნიკოლაძის ერთ-ერთი პირველი ნამუშევარია. ლაკონიურადაა შესრულებული აკაკი წერეთლის საფლავი (მხატვარი დ. კაკაბაძე). ვაჟა-ფშაველას საფლავს მისი სამშობლოდან ჩამოტანილი ლოდის ნატეხი ადევს. პანთეონში დაკრძალული არიან ნ. ბარათაშვილი, ნ. ნიკოლაძე, დ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, ა. ცაგარელი, დ. ერისთავი, ვ. ბარნოვი, ი. ნიკოლაძე, დ. კლდიაშვილი, ს. ჯანაშია, ი. ფალიაშვილი, ე. ჯულაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ს. ზაქარიაძე და სხვები. პანთეონიდან საცალფეხო ბილიკი ზემო პლატომდე ადის. 1959 წელს პლატოზე დაიდგა 189 მეტრის სიმაღლე სატელევიზიო ანძა, რომელიც შემდეგ უფრო მაღალი ანძით შეიცვალა. კულტურისა და დასვენების პარკში ძვირფასი ჯიშის მცენარეულობა ხარობს. აქვეა სხვადასხვა გასართობი ატრაქციონები, კინოთეატრი, პლანეტარიუმი და სხვ. პარკის მთავარი ხეივანი კიბით იწყება, შემდეგ კი ფართო გზად გადაიქცევა. იგი მარჯვენა მხრიდან შემოუვლის ქვის შენობას, 10-15 წუთის სავალი აღმართის შემდეგ დასავლეთის მიმართულებით სარწყავ აუზს გაუვლის და 600-700 მეტრის გავლის შემდეგ ორად გაიყოფა. მარცხნივ გზა მამადავითის ქედს მიჰყვება, რომლის დაბოლოებაზეც უძოს მთაა. გზის გასაყარიდან კარგად ჩანს კოჯრის გზატკეცილი, სოფელი ოქროყანა, შინდისი, ტაბახმელა, წავკისი. მარჯვენა გზა სამხრეთით იშვება და ბოლოს ფართო მინდორზე გადის. მას პატარა ნაკადული ჰკვეთს, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებში შრება. ნაკადულს რომ გადაჰყვებით, ჩრდილო-დასავლეთით აივლით აღმართს და პატარა უნაგირადან ულამაზესი ხედი გადაიშლება. მშვენივრად ჩანს ქვევით, ტაფობის ძირში ლურჯად მოლივლივე კუს ანუ ქორქის ტბა. ეს ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ადგილია — ნავებით, სპორტული მოედნებით, კორტებით... იქვეა საბაგირო გზის ზედა სადგური, რომელიც კუს ტბას ი. ჭავჭავაძის პროსპექტთან აკავშირებს. უნაგირადან ქვაღორღიანი ბილიკი იშვება ტბისა და ლიაცისქვეშა მუზეუმისაკენ. მის გავლას 20-25 წუთი სჭირდება. ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმს ვაკის (გამარჯვების) პარკის 45 ჰექტარი უჭირავს. ამ ტერიტორიაზე განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა რაიონებისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლები თავისი კარ-მიდამოთი და ეთნოგრაფიული ნივთებით. მუზეუმის ტერიტორია დაყოფილია ათ ზონად. გარდა საცხოვრებელი ნაგებობებისა, მუზეუმში არის მეათე საუკუნის სიონის ბაზილიკა, აკლდამა, VI-VII საუკუნეების სარკოფაგი და სხვ. მუზეუმიდან კილომეტრნახევრიანი გზით დაეშვებით გამარჯვების პარკში.

მთელი ეს ლაშქრობა შესვენებებითურთ მოიცავს 4-6 საათს, ხოლო მუზეუმის დათვალიერების ჩათვლით — ერთი-ორი საათით მეტს. მანძილისა და დროის შემოკლების მიზნით შეგიძლიათ მთაწმინდის პლატოზე აზვიდეთ საბაგირო გზით და, ასევე, კუს ტბიდანაც საბაგირო გზით დაეშვათ ქვევით.

დენიზა გოზალიშვილი




# ჩვენც პიონერობიდან მოვდივართ

პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელთა გადამზადების V ნაკადის მსმენელთა შორის ბევრი იყო ახალბედა, ახალგაზრდა, რომელიც წლეულს პირველად შეუდგა უფროსი პიონერხელმძღვანელის მოვალეობის შესრულებას.

— ჩვენ პიონერობიდან მოვედით, — გვითხრეს მათ და ისურვეს ჩვენი კლუბის ერთ-ერთ შეკრებაზე დასწრება. კომკავშირულ ქალაქში საუბარი ამჟერად იმ მოვალეობაზე, იმ პასუხისმგებლობაზე წარიმართა, რომელიც მათ თქვენთან მუშაობის დროს ეკისრებათ. პიონერხელმძღვანელებმა აღნიშნეს სიძნელეები, რომლებსაც ზოგჯერ ხვდებიან პიონერულ აქტივთან მუშაობის დროს; გაიხსენეს მშობლიური სკოლა, რაზმეული, ის წლები, როცა თვითონ იყვნენ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეები, ითვლებოდნენ სკოლის საუკეთესო აქტივისტებად. ზოგიერთი მათგანის ნაამბობი ჩავინიშნეთ, გვინდა თქვენც გაგაცნოთ.

მაია ზამთარაშვილი (თიანეთი, ნაქალაქარის სკოლა). — პირველი სიხარული ოქტომბრელებმა მომიტანეს. პიონერთა ოთახის ფანჯრის რაფებზე თავიანთი გახარებული ქოთნის ყვავილები შემოდგეს.

— ნუ გეფიქრებათ, ხელმძღვანელო, ყვავილებს წყალი არ მოაკლდება, არც ყურადღება.

პირველი სიხარული ქოთნის ყვავილებმა კი არ მომიტანეს, არამედ პატარების ზრუნვამ პიონერთა ოთახისათვის.

მანანა ბენდელიანი (ლენტეხი, რცხმელურის სკოლა). — ძნელია პიონერხელმძღვანელობა; შენ ერთი ხარ, ბავშვები კი ბევრნი.

სკოლაში მისულმა პირველი დღეებიდანვე ვიგრძენი პიონერთა მხარდაჭერა; აქტივი მხარში ამომიდგა. მალე დავმეგობრდით.

ლია ჩემია (ხელვაჩაურის საშუალო სკოლა). — თავიდანვე გული მატკინა პიონერული ყელსახვევისადმი ზოგიერთი პიონერის უპატივცემულობამ, და იმ ბავშვების ქცევამ, რომლებიც პიონერულ ყელსახვევს არ ატარებენ, მისი მნიშვნელობა არ ესმით; იქნებ სხვა სკოლაშიც ხდება ასე, პიონერული აქტივი უნდა ჩაუფიქრდეს ამ საკითხს.

ლია მელთაური (ცხვის მე-2 სკოლა). — სკოლის წლებიდან ვოცნებობდი მასწავლებლობაზე. ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის მქონდა პიონერული დავალება. არჩეული ვიყავი პიონერულ აქტივში, და უკვე მაშინ მეგონა, რომ მე მასწავლებელი ვიყავი.

ამიხდა ბავშვობის ნატვრა — პიონერხელმძღვანელი, პედაგოგიური კოლექტივის წევრი გავხდი. თუ რა უნდა მეკეთებინა, პირველი დღიდანვე მიკარნახეს პიონერთა ოთახმა და აქტივმა. კარგი ტრადიცია დამხვდა — პიონერებს საქმის შეხსენება არ სჭირდებოდათ; თავდაპირველად ერთობლივად მოვამზადეთ რადიოგადაცემა, ამ დროს დავუახლოვდით ერთმანეთს.

მიყვარს პიონერები, ვგრძნობ მათ სითბოს. გულახდილად გეტყვით, დამწყებ პიონერხელმძღვანელებს პიონერული აქტივის მხარდაჭერა გვჭირდება — მათ უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ არც ერთი ჩვენი თხოვნა.

ნანა მოდებაძე (ახალციხე, ურაველის სკოლა). — მახსოვს ის დრო, სკოლაში რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე რომ ვიყავი: უცებ არ ავურჩევივართ; ჯერ რგოლის ხელმძღვანელი ვიყავი, შემდეგ — რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. პიონერხელმძღვანელმა გულო ასპანიძემ მასწავლა რაზმეულის მეთაურობა და იმაში, რასაც ახლა რაზმეულში ვაკეთებ, სკოლაში მისი დახმარებით მიღებული გამოცდილება მშველის.

შემდეგ, სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ რომ ამირჩიეს, რაზმის ხელმძღვანელობაც დამევალა, თავის ქებად არ ჩამომართვათ, თავს კლასის მეორე ხელმძღვანელად ვგრძნობდი. ერთი სიტყვით, ამიხდა ოცნება: სკოლაში ვმუშაობ — ბავშვებთან.

ლია ბუჩუკური (ყაზბეგი. ახალციხის 8-წლიანი სკოლა). — ეს პროფესია შემთხვევით არ ამირჩევია, პედაგოგობა მსურდა, ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ბავშვებთან ვარ. ეს სიყვარული თავის დროზე პიონერული აქტივისტის მოვალეობის შესრულებამ ჩამინერგა.

ნინა პოლოვინკინა (გალი. რეფის 8-წლიანი სკოლა). — არ მავიწყდება რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ ჩემი არჩევის დღე. რაზმეულის ყველა პიონერს ვიცნობდი, ვიცოდი თითოეულის დავალება, საქმისადმი დამოკიდებულება.

ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა მაშინ. ახლაც სიამაყით ჩავუვლი ხოლმე სკოლის ეზოში ხეივანს, რომელიც მაშინ რაზმეულმა ჩემი თაოსნობით გამართულ შაბათობაზე გააშენა. მიყვარს ის ხეივანი და იქ ჩემი დარგული 20 ძირი აკაციის ხე.

ლუიზა გედენიძე (ქუთაისის 26-ე სკოლა). — პიონერებმა სკოლაში მისვლის პირველ დღესვე მომაკითხეს და მკითხეს: — ლუიზა ხელმძღვანელო, თქვენს განკარგულებას ველით, რა გავაკეთოთო?

მუშაობა თავიდანვე კარგად ავაწყვეთ.

ლამარა ფოცხვერაშვილი (დუშეთი, პავლეურის 8-წლიანი სკოლა). — მსიამოვნებს, როცა ვგრძნობ, როგორ უხარია პიონერს მიცემული დავალების შესრულება. სწორედ აქედან იწყება მისი პირველი დამოუკიდებელი მუშაობა.

ჩემი პროფესია იმიტომ მეჩვენება ლამაზი, წრფელი და საინტერესო, რომ პიონერები პატივს სცემენ პიონერხელმძღვანელის შრომას; ამიტომაც მე და ჩემს პიონერებს ერთმანეთთან შეხვედრა გვიხარია, ყოველთვის გულახდილები ვართ და საქმესაც ხალისით ვაკეთებთ.

მაია მელქაძე (თბილისის 112-ე სკოლა). — დაუვიწყარი პიონერული წლები მქონდა: ვიყავი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, წლების მანძილზე — პიონერთა რაიონული შტაბის თავმჯდომარის მოადგილე, პიონერთა საქალაქო შტაბის წევრი.

ბედნიერი ვარ, რომ კვლავ ჩემს საყვარელ საქმეს ვაგრძელებ ჩემს მშობლიურ სკოლაში. სკოლაში, სადაც საინტერესო პიონერული წლები გავატარე, უფროს პიონერხელმძღვანელად დავბრუნდი. არ დაგიმალავთ, ჩვენ მაშინ ნაკლებად ინიციატივიანი პიონერხელმძღვანელი გვყავდა, მაგრამ მოსვენებას არ ვაძლევდით. მწყინს, რომ ახლა ჩემი სკოლის ზოგიერთ პიონერს პიონერული მუშაობით დაინტერესებას ვერ ვამჩნევ. თავის დროზე მე სწორედ აქტიურობისათვის გამაგზავნეს „არტეკში". რა ჯობდა ისეთ პიონერულ აქტივთან მუშაობას, როგორიც „არტეკში" იყო.

პიონერხელმძღვანელის მოვალეობის შესრულებაში რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის გამოცდილება მეხმარება. კარგად მახსოვს პიონერთა რესპუბლიკურ სასახლეში გატარებული დღეები, პედაგოგების — იზოლდა ლასკარის, ნელი ნიკურაძის, თინა ბურჯანაძის, ზურაბ მიქაბერიძის მზრუნველობა და რჩევა-დარიგება...

„კოცონის" ირგვლივ გამართულ საუბარს ჩვენც ყურს ვუგდებთ, ვეცნობით აქტივისტებს, შემდეგ იმ საუბარს რაზმეულის საბჭოს სხდომაზე ვარჩევთ.

პიონერული აქტივის რიგებში ყოფნა, — ეს საუკეთესო წლებია თითოეული პიონერისათვის. გაუფრთხილდით მას, დრო უქმად არ დაკარგოთ, საინტერესოდ წარმართეთ იგი.

პიონერული წლები მუდამ ჩვენთანაა, დღემდე გვეხმარება, გვაღელვებს, გვაფრთხილებს, გვკარნახობს კეთილ საქმეებს, გვამხნევებს და გვახალისებს.

ნათელა ფაილოძე

# ფიზიკა

## ფიზიკა წყლით სავსე ჭიქაში

ამ ნომერში ჩვენს ნორჩ მკითხველებს ვთავაზობთ სამ ცდას, უფრო ზუსტად — სამ მარტივ ამოცანას, რომლებიც წყლიან ჭიქასთანაა დაკავშირებული.

1. ჩვეულებრივი თხელი ჩაის ჭიქა (იგი ცილინდრული ფორმისაა) პირთამდე სავსეა წყლით. როგორ გავყოთ სითხე ორ თანაბარ ნაწილად?

A და B წერტილებს შორის შეიძლება გავავლოთ წარმოსახვითი ხაზი, რომელიც ცილინდრს ორ ტოლ მოცულობად გაჰყოფს — სწორედ რომ ორ ტოლ მოცულობად, რადგან მიღებული სამკუთხედები (იხ. ნახაზი) ზუსტად ერთნაირი გეომეტრიული ფიგურებია. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ამოცანის ამოხსნაც: ჭიქა ნელ-ნელა გადახარეთ და ღვარეთ წყალი მანამ, ვიდრე ფსკერის კიდე გამოჩნდებოდეს. თუ წყალს ნიჟარაში კი არა, ზუსტად ისეთსავე ჭიქაში ჩაასხამთ, დაინახავთ, რომ ორივე ჭიქაში წყლის დონე ზუსტად ერთნაირი იქნება.



„რაკეტა“






2. სქელი ქაღალდისაგან გამოსჭერით იმ ფორმის „რაკეტა“, რომელიც ნახაზზეა გამოსახული, და ჩაუშვით წყლიან ჭიქაში. საკმარისია „რაკეტის“ შიგნით მოქცეულ წყლის ზედაპირს საპნის ნატეხი შეახოთ, და თქვენი „კოსმოსური ხომალდი“ მაშინვე დაიწყებს მოძრაობას. მიზეზის გამოცნობა ძნელი არ არის: საპნიანი წყლის ზედაპირული დაჭიმულობა სუფთა წყლის ზედაპირულ დაჭიმულობაზე ნაკლებია. მათ შორის არსებული სხვაობა წარმოშობს იმ ძალას, რომელიც თქვენს „რაკეტას“ ამოძრავებს.

3. გინახავთ ოდესმე მცურავი შანდალი?

აიღეთ დაახლოებით 5 სმ სიგრძე პარაფინის სანთელი, ძირში რამდენიმე ჭიკარტი დაარჭვეთ, წყლიან ჭიქაში ჩაუშვით და პატრუქს ცეცხლი მოუკიდეთ. მორჩა, სანათი მზად არის! შეგიძლიათ ჭიქა გუაშით მოხატოთ და წყალი შეღებოთ, ან წყლით სავსე ღრმა სინში რამდენიმე ასეთი ჭიქა ჩაუშვათ. მშვენიერი სანახაობა გამოვა.

ახლა კი დავუბრუნდეთ ფიზიკას.

პარაფინი წყალზე მსუბუქია და მშვენივრად ტივტივებს ზედაპირზე. ჭიკარტები საჭიროა იმისთვის, რომ სანთელმა ვერტიკალური მდგომარეობა შეინარჩუნოს. თავდაპირველად ალბათ იფიქრებთ, სანთელი მალე ჩაქრება, რადგან მისი დიდი ნაწილი წყალშია ჩამალული, ამიტომ წყალზედა ნაწილის გალღობის შემდეგ პატრუქი დასველდება და ჩაქრებაო. მაგრამ ასე არ ხდება, სანთელი თითქმის ბოლომდე ჩაიწვება, — ამაში ექსპერიმენტი დაგარწმუნებთ.

საქმე ისაა, რომ წვის პროცესში სანთლის მასა კლებულობს და მცირდება იმ ამომგდები ძალის სიდიდეც, რომელმაც სიმძიმის ძალა უნდა გააწონასწოროს, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა გამოდევნილი წყლის უფრო და უფრო ნაკლები რაოდენობა, მაშასადამე, წყალში სანთლის უფრო და უფრო მცირე ნაწილი იქნება ჩაძირული.



ტვირთი



„ნაუკა ი ჟიზნ“

# უცხოური იუმორი

### ავტობუსში

— სერ, თქვენ მომპარეთ ჯიბიდან ცხვირსახოცი!.. აჰ, აი, მეორე ჯიბეში მქონია. მომიტევეთ, ღვთის გულისათვის.

— არა უშავს, ნუ წუხართ. ბარიბარში ვართ: თქვენ ქურდად მიმიჩნიეთ, მე კი ჯენტლმენი მეგონეთ.

### საოცრება

მოქანდაკის სახელოსნოში მისულმა დამთვალიერებელმა გაოცებით იკითხა:

— როგორ შექმენით ეს დიდებული ფიგურა?

— მარმარილოს ზოდიდან გამოვკვეთე, — მიუგო მოქანდაკემ.

— მერედა, რა იცოდით, რომ სწორედ იქ იყო?!

### ეგოისტობა

— გესმის, რობერტ, — უთხრა მამამ ვაჟიშვილს, — ჩემთვის შრომა ყოველთვის კმაყოფილება იყო. შენ კი გინდა, რომ შენს მაგივრად სხვები მუშაობდნენ!

— მე ისეთი ეგოისტი არა ვარ, მამა, რომ მარტო ჩემი კმაყოფილებისათვის ვცხოვრობდე.

### ახსნა

—აღიარებისა მრცხვენია, მაგრამ ვინმემ რომ მკითხოს, ელექტროდენი როგორ მიიღებაო, ვერაფერს ვუპასუხებ, აბსოლუტურად ყველაფერი გადამავიწყდა, რაც კი ოდესღაც სკოლაში მისწავლია.

— ეგ სულ უბრალო საქმეა. აი, მიყურე: მივდივარ ჩამრთველთან, ვატკაცუნებ — და ნათურა უკვე ანთია. გასაგებია?

### ღირსება

საკონსტრუქტორო ბიუროში ახალი ინჟინერი მიიღეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ქარხნის დირექტორმა ჰკითხა საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს:

— რასა იქს ახალი თანამშრომელი? იგი ძალზე შრომისმოყვარე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

— ეს მისი ერთადერთი ღირსებაა.

— შრომისმოყვარეობა?

— არა, შთაბეჭდილების მოხდენის უნარი.

გერმანულიდან თარგმნა
ზ. ზოთაძემ

## საინტერესო სიახლენი

### ● პლასტმასის გზატკეცილი

რამდენიმე წლის წინათ საფრანგეთის ერთ-ერთ გზატკეცილს პლასტმასის „ზეწარი" გადააფარეს. პლასტმასა პოვინილქლორიდის საფუძველზეა შექმნილი. მის რულონებს, რომელთაც ქალაქ ნანსის ერთ-ერთი ფირმა უშვებს, პირდაპირ აწებებენ გზის საფარის ფუძეს. ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ პლასტმასის საფარი გამძლეა და მისი შეკეთებაც — ადვილი. ეგ არის, ჯერჯერობით პლასტმასის გზატკეცილი ჩვეულებრივზე ძვირი ჯდება.

### მდუღარე წყალი — უჩაიდნოდ

კანადელმა თბოფიზიკოსებმა წყლის გაცხელების ახალი მეთოდი დაამუშავეს: წყლის შხეფებს დიდი სიჩქარით ატარებენ აირსანთურის ალის სიახლოვეს. ცირკულაციისას წყალი საკმაოდ სწრაფად ცხელდება — ერთ საათში ერთი ტონა სითხის ტემპერატურა 85 გრადუსს აღწევს. უჩვეულოდ მაღალია მარგი ქმედების კოეფიციენტი — 90-95%, რაც ჩვეულებრივი მადუღრების — ბოილერების მარგი ქმედების კოეფიციენტს თითქმის ათი პროცენტით აღემატება.

### „ხალიჩა — გაზონი"

საოცრად ახარებს თვალს რკინა-ბეტონისა და ასფალტის ზღვაში აქა-იქ მიმოფანტული მწვანე კუნძულების — პარკებისა და სკვერების ხილვა. მაგრამ ამ „კუნძულების" შექმნა თანამედროვე ქალაქში საკმაოდ ძნელია. გამოსავალი იპოვეს ერთი უნგრული საწარმოს—„ტემაფორტის" სპეციალისტებმა, რომლებმაც „ხალიჩა-გაზონები" გამოუშვეს. საფეიქრო მრეწველობის ნარჩენებისაგან დამზადებულ ქსოვილში აყოლებენ ბალახის თესლს საკვებ ნივთიერებებთან ერთად. საკმარისია ეს ხალიჩა მიწაზე დააფინო, მერე რამდენიმე დღის განმავლობაში მორწყა და მალე იგი მწვანედ მოხასხასე გაზონად გადაიქცევა. „ხალიჩის" ქსოვილი თავდათან ლპება და სასუქის მოვალეობას ასრულებს. ასეთი „ხალიჩა" შეიძლება გამოვიყენოთ ჯებირებისა და რკინიგზის მიწაყრილების გასამაგრებლადაც.

### მექსიკური შაქარი

მეცნიერები კარგა ხანია ეძებენ შაქრის (უფრო ზუსტად — სახაროზას) შემცვლელ ნივთიერებას, რადგან ჩვეულებრივ შაქარს მარტო სარგებლობა როდი მოაქვს. ამიტომ გასაგებია მათი ინტერესი ტკბილი ნივთიერებისადმი, რომელიც მექსიკელმა სპეციალისტმა სეზარო კომპადრემ და მისმა თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ე. წ. „შაქარ-ბალახში" (ეს მცენარე აღწერილია მე-16 საუკუნეში დაწერილ სამედიცინო ტრაქტატში, რომელიც ესპანელ ექიმ ფ. ერნანდესს შეუდგენია). გამოყოფილი ზეთოვანი ნივთიერება ათასჯერ უფრო ტკბილია, ვიდრე სახაროზა. ერნანდულცინი (ეს სახელი დაერქვა ამ ნივთიერებას მცენარის პირველაღმომჩენის პატივსაცემად) უხიფათოა დიაბეტით დაავადებულთათვის და არც სიმსუქნეს იწვევს.





## სარჩევი


ს. ალექსეევი — ყოფილა თუ არა ლენინი ბათუმში? (მოთხრობა) . . . . . . . გარეკ. 2
გ. გოგიაშვილი, კ. დოლიძე — შენების, ზრდის, მშვიდობის პროგრამა (წერილი) . . . . . . . 1
გ. კეჟაღმაძე — გარდატეხა (მოთხრობა) . . . 4
მ. გელაშვილი — ქეთინო ხელმძღვანელი (ნარკვევი) . . 9
ი. აფციაური — ლექსები . . . . . . 11
ნ. სადირაშვილი — ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები" (წერილი) . . . . . . . . 12
ე. ელიავა — ორნი ერთი ოჯახიდან (ნარკვევი) . . . 14
ვლ. ასლამაზიშვილი — ჩაშლილი წარმოდგენა (მოთხრობა) 17
ე. დიდიმამიშვილი — ყველაზე ბედნიერი ჩიტები (ლექსი) 21
გ. ვიერუ — ლექსები . . . . . . . 21
ჰ ი ს ი . . . . . . . . . . 22
ე. დოზინი — დედა და ვაჟიშვილი (წერილი) . . . . . 24
თ უ რ მ ე . . . . . . . . . . 28
დ. გოზალიშვილი — მამადავითის ქედით კუს ტბამდე (წერილი) . . . . . . . . . 29
კ ო ც ო ნ ი . . . . . . . . . 30
ს ა ხ ა ლ ი ს ო ფ ი ზ ი კ ა . . . . . . 31
უ ც ხ ო უ რ ი ი უ მ ო რ ი . . . . . . 31
ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო ს ი ა ხ ლ ე ნ ი . . . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . . გარეკ. 3



გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა დავით ფალავასი

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჰუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-58-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 25. 02. 86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 04. 86 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 502. ტირაჟი 160.000. ეგზ., უე 04617

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 160.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი", 1986 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. არგენტინის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა; 2. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი; 6. მექსიკის 1986 წლის ფეხბურთის მსოფლიო პირველობის თილისმა; 7. ყირგიზეთის სსრ ფეხბურთელთა გუნდი; 8. პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდი; 10. მსაჯი, ანუ? 12. მწვრთნელი, ანუ? 13. ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი (ფრანგი); 18. იტალიელი ფეხბურთის მსაჯი XI მსოფლიო ჩემპიონატში; 20. ძველბერძნული ეპიკური პოემა; 21. ჰოლანდიის ფეხბურთელთა კლუბი; 22. მექსიკის უდიდესი სტადიონი; 23. იაპონური ლეიბი ძიუდოს მოჭიდავეებისათვის; 24. საბჭოთა ფეხბურთის ყველა დროის საუკეთესო მეკარე.



**თარაზულად:** 3. იტალიელი ფეხბურთელი, XI მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე; 4. 1983 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი; 5. გახეთქილი კლდე; 9. ბურთის გადაცემა მოთამაშისათვის; 11. მდგომარეობა, როდესაც ბურთი ტოვებს მოედანს გვერდითი ხაზის გადაკვეთის შემდეგ; 14. გფრ-ის ნაკრების ფეხბურთელი; 15. სასპორტო იარაღი; 16. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევარი; 19. ადგილი, ანუ? 21. არგენტინელი ფეხბურთელი, მსოფლიოს XI ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი; 25. დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 26. მანქანის, მექანიზმის ჩარჩო, საფუძველი; 27. გამარჯვების ქალღმერთი (ვისი სახელობის თასიც ბრაზილიამ დაისაკუთრა); 28. ხელოვნური წყალსატევი სპორტული შეჯიბრებებისათვის; 29. სწრაფად მზარდი ავსტრალიური ხე.

შეადგინა ალ. გორგიშვილმა

## ლიტერატურული კროსვორდი

საჭიროა შესაბამის უჯრებში ჩავწეროთ ჩვენი ერის სასიქადულო შვილების დაბადების ადგილი. სწორად გადაწყვეტისას შავად გამოყოფილ შვეულში უნდა იკითხებოდეს გენიალური ქართველი პოეტის სახელი და გვარი.

1. ივანე მაჩაბელი, 2. ვასილ ბარნოვი, 3. დავით კლდიაშვილი, 4. სულხან-საბა ორბელიანი, 5. ილია ჭავჭავაძე, 6. ლეო ქიაჩელი, 7. აკაკი წერეთელი, 8. ეგნატე ნინოშვილი, 9. მიხეილ ჯავახიშვილი, 10. იაკობ გოგებაშვილი, 11. გიორგი ლეონიძე, 12. ვაჟა-ფშაველა, 13. გალაკტიონ ტაბიძე.



შეადგინა რ. თავარიანმა.

## გამოცანები

ცალფეხაა, იმ ფეხზეც არ აცვია.
ჭეშმარიტად უცნაური კაცია.
შლაპა ახურავს,

მაგრამ არ აქვს თავი.
რაა ნეტავ? რა ვი...

●

მზისფერი მზეთუნახავი
მეც გავიმეტე ბოლოს და

ნაწნავში მივწვდი, მოვწიე,
ამოვათრიე სოროდან.
ისეთი ტკბილი გამოდგა,
ნეტავი შენაც გქონოდა.

●

ამვლელია თუ ჩამვლელი,
მთელავს და მთელავს




ფეხებით,
მაგრამ არა მწყინს —
ამით ხომ
თანდათან ვუკეთესდები.

●

ტყეში შემომხვდა უთავო
გლეხი—
მარტო ქუდი აქვს და ცალი
ფეხი.

ნ. მარიხია

●

არც მჭედელი არ გეგონოს
და არც ცეცხლით უბეს
ივსებს
მაგრამ რკინა თუ იპოვა,
მიიტაცებს, მიითვისებს.

●

შუაში ერთი ქედია.
ქედს აქეთ-იქით—თითო მზე.
მიდიხარ, მიგინათებენ
მთაში, ტყეში თუ მინდორზე.

გიორგი მარცვალაშვილი

### პასუხი № 3-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

**თარაზულად:** 7. ველოსიპედი; 8. დრეიფი; 9. პენსია; 16. მაჭარი; 17. აპარატურა; 19. აგიტატორი; 21. სემინარი; 23. პავილიონი; 24. ესქილე; 29. კერესი; 30. აფთარი; 31. ავტომატიკა.

**შვეულად:** 1. გავაშელი; 2. გვირისტი; 3. კანადა; 4. პლატფორმა; 5. გეომეტრია; 6. ბილბაო; 10. ანატომია; 11. ფრონტონი; 12. დალასი; 13. სალონი; 14. ვასალი; 15. დიქცია; 18. რომი; 20. განა; 22. აეროსტატი; 23. პერიფერია; 25. ქარავანი; 26. დიაგრამა; 27. სკივრი; გიტარა.

**მეტაგრამა**

ბუ+ხარი-ბუხარი.

**ანაგრამები**

ლოდი-დოლი; რაში-შარი; უბანი-უნაბი; მტერი-მეტრი.

**გამოცანები**

სეტყვა, ვერცხლისწყალი, კარი, პური, ჭრიჭინა, ლერწამი, გზა.

# მხიარული დომინო











კუს სვლა






ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.